ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება



სპეციალური ანგარიში

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

ანგარიში მოამზადა სახალხო დამცველის აპარატმა, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველის აპარატი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება

სპეციალური ანგარიში

თბილისი 2023

მკვლევრები:

ქეთევან კუკავა

მაია ცირამუა

ლიკა ღვინჯილია

კვლევის მეთოდოლოგიის ავტორები:

ქეთევან კუკავა

მაია ცირამუა

აქრონიმები:

USAID – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

CRC – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი

ECtHR – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი

სარჩევი

შესავალი 6

მეთოდოლოგია 7

ძირითადი მიგნებები 9

I. კანონმდებლობა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ 11

1.1. საერთაშორისო სტანდარტები ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ 11

1.2. საქართველოს კანონმდებლობა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ 16

II. ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები 20

2.1. ბავშვის მშობელთან ურთიერთობა და აღსრულების გამოწვევები 20

2.1.1. საერთაშორისო სტანდარტები 20

2.2. არსებული პრაქტიკა 21

2.2.1. მხარეთა და ბავშვების მზაობა მშობელთან ურთიერთობის საკითხზე 21

2.2.2. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში საქმეების წარმოების გამოწვევები 23

2.2.3. შეფასებასთან დაკავშირებული გამოწვევები 28

2.3. მედიაციის მნიშვნელობა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის დავებზე 30

2.3.1. ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გამოწვევები 31

III. ბავშვის მშობლისგან განცალკევება 32

3.1. საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა 32

3.2.ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ სამართლებრივი ინტერპრეტაციის გამოწვევები 34

3.3. ბავშვის მშობლისგან განცალკევების ან განცალკევების ვადის გაგრძელების საფუძვლები 37

3.3.1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 37

3.3.2 მშობლობის უნარ-ჩვევები 39

3.3.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლები 40

დასკვნა 43

რეკომენდაციები: 45

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კვლევის შედეგად შემუშავებულ სპეციალურ ანგარიშს, რომელიც, 2022 წლის ივლისიდან 2022 წლის ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით განახორციელა და ქვეყანაში ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ მართლმსაჯულების განხორციელების კვლევისა და მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

სახალხო დამცველის აპარატი, საქმისწარმოებისა და მონიტორინგის ფარგლებში, მუდმივად იკვლევს და აანალიზებს ბავშვის მშობელთან ურთიერთობის, არასრულწლოვნის ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევებისა და მისი მშობელთან რეინტეგრირების საკითხებს. მიღებული შედეგების საფუძველზე კი, სახალხო დამცველი, საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშებისა თუ ინდივიდუალური წარმოების ფარგლებში, წლებია მიუთითებს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ სისტემურ გამოწვევებზე, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. განსაკუთრებით მწვავედ დგას ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში, უწყებათაშორის კოორდინირებულ და დროულ მოქმედებასთან, შესაბამისი გადამზადების მქონე და საჭირო სპეციალისტების ნაკლებობასთან, მშობლებისა და ოჯახების მხარდაჭერასთან, მშობლის უნარ-ჩვევების განვითარების სერვისების არარსებობასთან, არასრულწლოვანთა ფსიქოემოციური მდგომარეობის დაცვასა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებასთან დაკავშირებული გამოწვევები.

განსაკუთრებით პრობლემურია შესაბამისი კადრების სიმცირე. კერძოდ, 2020-2021 წლებში სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, ჯამში, ბავშვთან ურთიერთობის წესის შესახებ **1,893** სასამართლო დავაში იყო ჩართული, ხოლო **319** საქმეზე აღასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილებას. ყველა ამ საქმეზე კი მთელი ქვეყნის მასშტაბით, მუშაობს მხოლოდ **135** სოციალური მუშაკი, **22** იურისტი და **15** ფსიქოლოგი.[1] ასევე პრობლემურია ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის, ბავშვზე მორგებული მიდგომების შესახებ სპეციალისტთა გადამზადების, მშობლების უნარ-ჩვევებზე მიმართული, ქცევის კორექციის სერვისების არარსებობა და ოჯახური დავების მედიაციის მექანიზმები. ასევე საყურადღებოა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში ბავშვზე მორგებული ოთახების სიმცირე/არარსებობა, რაც კიდევ უფრო ართულებს პროფესიონალთა მიერ, ბავშვებთან მუშაობისა და მშობლისა და ბავშვის ურთიერთობაზე დაკვირვების/შეფასების პროცესს.

კვლევის მთავარი მიზანი იყო საქართველოში, 2020-2021 წლებში, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესების ინტერდისციპლინური მიდგომით შესწავლა, მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და გამოვლენილი ხარვეზებისა და გამოწვევების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. შესაბამისად, კვლევის პროცესში მოხდა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის, შესაბამისი დავებისა და აღსრულების თითოეული ეტაპის შესწავლა, მათ შორის, უწყებებს შორის კოორდინაციის, მათი მხრიდან დროული რეაგირების, ბავშვზე მორგებული მიდგომის გამოყენების და როგორც ბავშვის, ისე მშობლისა და ოჯახების მხარდამჭერი მექანიზმების მოკვლევა.

ყურადღება გამახვილდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გამოვლენილ სისტემურ

[1] სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/5403, თარიღი: 30/06/2022.

პრობლემებზე, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში არსებულ ისეთ რისკებზე, როგორიც არის ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობა, მისი ემოციური მდგომარეობის გაუარესება, მისით მანიპულირება, აღსრულების პროცესის გაჭიანურება. ასევე, შესწავლილ იქნა, რამდენად ატარებენ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართული პირები სათანადო ღონისძიებებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად და მისი აზრის გასათვალისწინებლად, რამდენად დროულად და ეფექტიანად ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება. ამ მიზანს ემსახურებოდა ასევე, ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შესული განცხადებების, 2020-2021 წლებში საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მათი აღსრულებისა და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების მასალების გაცნობა. გარდა ამისა, საჭირო გახდა ინფორმაციის გამოთხოვა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე ჩართული ყველა შესაბამისი უწყებიდან. ასევე, ჩატარდა თემატური ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები, როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საქართველოს სახალხო დამცველი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის საქართველოს საერთო სასამართლოებს, თითოეულ სახელმწიფო უწყებას, ორგანიზაციასა და შესაბამის სპეციალისტებს.

მეთოდოლოგია

ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის უფლების შესახებ მართლმსაჯულების განხორციელების კვლევა ჩატარდა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საკითხზე მართლმსაჯულების განხორციელება მოიცავს, როგორც ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის წესს, ასევე, მშობლისგან განცალკევების, ბავშვის მშობლისადმი მიკუთვნების, მშობლის უფლების ჩამორთმევისა და სასამართლო გადაწყვეტილების/სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებს. კვლევის მიზნებისთვის ბავშვად მიიჩნევა 18 წელს მიუღწეველი პირი, როგორც ეს დადგენილია ბავშვის უფლებათა კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით. გამონაკლისს წარმოადგენს არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასა და ბავშვთან ურთიერთობის უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც, ბავშვად მიიჩნევა 16 წლამდე ასაკის პირი.[2]

კვლევის ფარგლებში ბავშვთან ურთიერთობის უფლება განიმარტება საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ეს უფლება გულისხმობს ბავშვთან ნებისმიერი სახის კომუნიკაციას, მათ შორის, განსაზღვრული დროით ბავშვის ისეთ ადგილას წაყვანას, რომელიც არ არის მისი ჩვეული საცხოვრებელი ადგილი.[3] ეს საკითხი ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული, ბავშვის მშობლისგან

[2] ჰაგის კონვენციის მე-4 მუხლი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305[7] მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

[3] „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰაგის კონვენციის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305[7] მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

განცალკევებისა და მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხებთან.[4]

საწყის ეტაპზე, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების[5], გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარების[6], ბავშვზე მორგებული სოციალური მომსახურების შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებული სტანდარტების საფუძველზე, შემუშავდა კვლევისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია. ასევე, მომზადდა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მომუშავე სპეციალისტების, მოსამართლეების, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, იურისტებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის განკუთვნილი კითხვარები. კვლევის **ამავე ეტაპზე** სახალხო დამცველის აპარატს ჰქონდა კომუნიკაცია ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან და საერთო სასამართლოებთან. კერძოდ, საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა: საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, სააპელაციო სასამართლოებიდან და ყველა რელევანტური პირველი ინსტანციის სასამართლოდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან, საქართველოს მედიატორთა ასოციაციიდან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან.

კვლევის **მეორე ეტაპზე,** შესწავლილ იქნა 2020-2021 წლებში საერთო სასამართლოების მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, მათი აღსრულების მასალები და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებები. კერძოდ, ბავშვის მიკუთვნების შესახებ **- 15 საქმე**; მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ - **21 საქმე**; ბავშვის მშობლისგან განცალკევების **214 საქმე**; ბავშვის მშობელთან ურთიერთობის წესის შესახებ - **13 საქმე**, აღსრულების **15 დადგენილება** და გამოძიების შეწყვეტის შესახებ **3 დადგენილება**. ასევე, სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით, ჩატარდა ფოკუს ჯგუფები ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მომუშავე **42 სპეციალისტთან.** კერძოდ, მოსამართლეებთან, სამართალდამცავი უწყების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წარმომადგენლებთან, სოციალურ მუშაკებთან, ფსიქოლოგებთან, იურისტებ-თან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატმა დაამუშავა სამართლებრივი ექსპერტისა და ექსპერტი ფსიქოლოგის მონაწილეობით, რის საფუძველზეც შემუშავდა კვლევის მიგნებები და სახალხო დამცველის რეკომენდაციები ბავშვის მშობელთან ურთიერთობის კუთხით არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკის და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

---

[4] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 26.

[5] კონვენცია მიღებულია 1989 წელს. საქართველომ რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ, მიღებულია 2000 წელს. საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 2010 წელს. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, მიღებულია 2000 წელს. საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 2005 წელს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ, მიღებულია 2011 წელს. საქართველომ რატიფიცირება მოახდინა 2016 წელს.

[6] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14 „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ“, შემუშავებულია 2013 წელს; ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №13 „ბავშვის უფლება დაცული იყოს ძალადობის ყველა ფორმისგან“, შემუშავებულია 2011 წელს; ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12 „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე“, შემუშავებულია 2009 წელს.

ძირითადი მიგნებები

ბავშვის მშობელთან ურთიერთობის უფლების რეალიზება და სახელმწიფო უწყებების დროული, კოორდინირებული და ეფექტიანი რეაგირება, ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევათაგანია. ასევე პრობლემურია ბავშვსა და მშობლებზე ორიენტირებული სერვისების სიმწირე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს საერთაშორისო ინსტრუმენტები[7], რომლებიც ავალდებულებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და ამის გათვალისწინებით, მის მშობელთან ურთიერთობის ხელშეწყობას, კვლავ რჩება არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, როგორც საკანონმდებლო რეგულირების, ისე ამ საქმეებზე მომუშავე სპეციალისტების სიმწირისა და ბავშვზე მორგებული გარემოს არარსებობის კუთხით. კერძოდ:

- სახელმწიფოს არ აქვს რატიფიცირებული ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ ისეთი არსებითად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტები, როგორიცაა ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია და ბავშვის უფლებათა განხორციელების შესახებ ევროპული კონვენცია;
- ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეთა თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკითხის რაციონალური, მშვიდობიანი კომუნიკაციის საფუძველზე მოგვარებას და ამ მიზნით მედიაციის მექანიზმის პროაქტიულ და დაუყოვნებლივ გამოყენებას;
- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის საფუძველზე დადგენილი პროცედურები არ არის შედეგიანი და ეფექტიანი, დაწესებული სანქციები ვერ უზრუნველყოფს ბავშვის მშობელთან ურთიერთობის დროულად აღდგენას, ხოლო სამართალდამცავი უწყებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი საგანგაშოდ დაბალია (**5 მიმართვა 2 წლის განმავლობაში**)[8];
- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს არ აქვთ წინასწარ გაწერილი, ერთგვაროვანი და თანმიმდევრული მექანიზმები საქმეთა, როგორც შეფასების, ისე აღსრულების ეტაპზე. ამ პროცესში ფსიქოლოგები, ძირითადად, საკუთარ გამოცდილებას და პრაქტიკას ეყრდნობიან;
- განსაკუთრებით მწვავედ დგას მშობლების მხრიდან არასრულწლოვნებზე ემოციური ზეგავლენის კუთხით არსებული გამოწვევები. ხოლო, სახელმწიფოს, მათ შორის, სერვისებისა და კადრების სიმწირის გათვალისწინებით, არ აქვს ეფექტიანი მექანიზმი, რომლითაც შეძლებდა მსგავსი გარემოებების თავიდან არიდებას, დროულ გამოვლენას და მშობელთან, ინდივიდუალური მიდგომით, დროულ და ეფექტიან მუშაობას;
- საგანგაშოდ შეუსაბამოა არსებულ საჭიროებასთან იმ სპეციალისტების რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერობის სასამართლო დავებისა და აღსრულების საქმეებზე. კერძოდ, 2020-2021 წლის განმავლობაში, 2,212 საქმეზე,[9] მთელი ქვეყნის მასშტაბით, იმუშავა მხოლოდ 135 სოციალურმა მუშაკმა, 22 იურისტმა და 15 ფსიქოლოგმა;

[7] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები.

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია MIA 5 22 01478394, თარიღი: 03/06/2022.

[9] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/5403 – 30/06/2022; ბავშვთან ურთიერთობის წესის შესახებ 1893 საქმე და აღსრულების 319 საქმე.

- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მხოლოდ 5 ტერიტორიულ ერთეულში არსებობს ბავშვზე მორგებული ოთახი, სადაც არასრულწლოვნებს, საჭიროების შემთხვევაში, სათანადოდ მოწყობილ გარემოში, განცალკევებით და მშვიდად შეეძლებათ მშობლებთან შეხვედრა და შესაბამის სპეციალისტებთან გასაუბრება;
- არ ხდება ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეებში ჩართული სპეციალისტების სათანადო, პერიოდული გადამზადება, მათ შორის, კონკრეტულად ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობისა და მშობლისგან განცალკევების თემებზე;
- ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე შეფასებისა და აღსრულების ეტაპზე მომუშავე სოციალური მუშაკები და იურისტები ითავსებენ მშობლებს შორის მომრიგებლის როლს, გასცემენ შესაბამის სიტყვიერ მითითებებსა და რეკომენდაციებს, რაც კიდევ უფრო ტვირთავს მათ სამუშაო მოცულობასა და პასუხისმგებლობას;
- მწირი და არაეფექტიანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელთა გაძლიერებისა და მხარდაჭერის სერვისები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან გაყვანის პრევენციას და ვერ აძლიერებს მშობლებს იმგვარად, რომ თავად შეძლონ ბავშვის აღზრდა;
- პრობლემურია ასევე, არასრულწლოვნების ბიოლოგიურ მშობელთან რეინტეგრაცია,[10] რაც, მათ შორის, უკავშირდება ოჯახის გაძლიერების, მხარდაჭერისა და მშობლის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საკითხებზე ორიენტირებული სერვისების არაეფექტიანობას და სიმწირეს;
- სასამართლოები და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, სათანადოდ არ იყო მომზადებული ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების, ბავშვის მშობლისგან განცალკევებისა და მისი პერიოდული გადასინჯვის ვალდებულებისთვის, რამაც განაპირობა ნორმის არასწორი განმარტება და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა;
- მიუხედავად კანონით დადგენილი აკრძალვისა, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად რჩება. ხოლო სახელმწიფოს, არ აქვს ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერების ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც ინდივიდუალური მიდგომით, დროულად აღმოფხვრიდა ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას მშობელი და არ აძლევს მას ბავშვის თავად აღზრდის შესაძლებლობას;
- საგანგაშოა ფსიქოლოგების მიერ შემუშავებულ დასკვნებში გამოკვეთილი სტერეოტიპული მიდგომები და ბავშვის მომავალზე მსჯელობა ყოველგვარი ემპირიული მასალების გარეშე;
- გამოწვევას წარმოადგენს ფსიქოლოგების მიერ არასრულწლოვანთა მდგომარეობის შეფასებისას ტერმინ „მიჯაჭვულობის“ არაერთგვაროვანი მნიშვნელობით გამოყენება, რაც დამაბნეველია და, შესაძლოა, ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის არასწორი აღქმის საფუძველი გახდეს.

[10] რეინტეგრაცია არის სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანილი ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფომ გააძლიეროს ბიოლოგიური ოჯახი და, მათ შორის, ფინანსურად, დაეხმაროს და დაუნიშნოს რეინტეგრაციის შემწეობა. საქართველოს მინისტრის ბრძანება №01-20/ნ რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ, 2014 წელი.

I. კანონმდებლობა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ

1.1. საერთაშორისო სტანდარტები ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ

ბავშვის უფლება, კონტაქტი შეინარჩუნოს ორივე მშობელთან

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი განცალკევება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ასეთი განსაზღვრა შეიძლება საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე ან როცა მიმდინარეობს დავა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით.[11]

ამავე კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტი იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.[12]

გარდა ამისა, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ცალსახად აღიარებს ყველა ბავშვის უფლებას, ჰქონდეს კონტაქტი ორივე მშობელთან. ნორმის ტექსტი ნათლად აღწერს უფლების შინაარსს, კონკრეტულად კი კონტაქტის მნიშვნელობას, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად; იძლეოდეს პირადი ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობას და გამოიხატებოდეს პირდაპირი კონტაქტის ფორმით. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, არსებობს კონკრეტული შეზღუდვა: ყოველი ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს ორივე მშობელთან კონტაქტი, შესაძლებელია შეიზღუდოს ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესების საფუძველზე.[13]

ბავშვის საუკეთესო ინტერესები

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი მოსაზრებები ნებისმიერ საკითხზე. კონვენციის პრეამბულის თანახმად, ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის, უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და გამგებიან ატმოსფეროში.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვების მიმართ ნებისმიერი მოქმედების განხორ-ციელებისას, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები,

[11] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[12] იქვე, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.

[13] ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2015, გვ. 54. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TUoslr

უპირველესი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.[14]

ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირველესი ყურადღების დათმობას ითვალისწინებს ევროპის საბჭოს რეკომენდაციები ბავშვზე მორგებული სოციალური მომსახურების შესახებ,[15] აგრეთვე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ.[16] ეს უკანასკნელი, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში, ასევე მოიაზრებს მულტიდისციპლინური მეთოდების გამოყენებას.[17]

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის თანახმად,[18] „საუკეთესო ინტერესების“ ცნება შემდეგ სამ ელემენტს მოიცავს: დამოუკიდებელ უფლებას, ფუნდამენტურ, განმარტებით სამართლებრივ პრინციპს და პროცედურულ წესს. ამასთანავე, თუ სამართლის ნორმა შესაძლებელია სხვადასხვაგვარად განიმარტოს, უნდა შეირჩეს ის განმარტება, რომელიც უფრო ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამის შეფასება და განსაზღვრა პროცედურულ გარანტიებს მოითხოვს. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დაასაბუთონ, როგორ დაიცვეს ეს უფლება, რა მიიჩნიეს საუკეთესო ინტერესად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ამგვარი გადაწყვეტილება, როგორ შეფასდა ბავშვის საუკეთესო ინტერესები და რა წონა მიენიჭა მას სხვა ასპექტებთან მიმართებით. ამასთანავე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება კომპლექსურია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს შესაბამისი ვითარების, სიტუაციის, კონტექსტისა და საჭიროებების, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.[19] ასევე, თუკი გადაწყვეტილება განსხვავდება ბავშვის შეხედულებებისგან, ამის მიზეზი ნათლად უნდა აღინიშნოს.[20] ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს მის მიერ მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლების პატივისცემასა და სათანადო ყურადღების დათმობას იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც მასზე გავლენას ახდენს. ეს ასევე აღნიშნულია ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-12 ზოგად კომენტარში, რომელიც მიუთითებს მჭიდრო კავშირზე კონვენციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-12 მუხლს შორის.[21]

---

[14] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[15] ევროპის საბჭოს რეკომენდაციები ბავშვზე მორგებული სოციალური მომსახურების შესახებ, III (A).
ეს რეკომენდაცია ეფუძნება ბავშვთა უფლებების პრინციპებს და მიზნად ისახავს წევრმა სახელმწიფოებმა კრიტიკულად შეხედონ სოციალური მომსახურების კანონმდებლობას, პოლიტიკას და პრაქტიკას, გააუმჯობესონ მათი საქმიანობა და საბოლოო ჯამში, ბავშვებისთვის უკეთესი შედეგები უზრუნველყონ.

[16] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, III (B). სახელმძღვანელო მითითებები ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ბავშვები კონტაქტს ამყარებენ ყველა იმ კომპეტენტურ ორგანოსთან და სამსახურთან, რომლებიც ჩართულნი არიან სისხლის სამართლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღსრულებაში.

[17] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, განმარტებითი ბარათი, III (B).

[18] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14 (2013) „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ“, § 6.

[19] იქვე, § 32.

[20] იქვე, § 97.

[21] იქვე, § 43.

ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრებები

ბავშვის უფლებათა კონვენცია ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არასრულწლოვანს ეხება, ბავშვს მიეცეს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.[22] ბავშვს შეუძლია არ გამოიყენოს ეს უფლება. შეხედულებების გამოთქმა ბავშვის არჩევანია და არა ვალდებულება. თუმცა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვს მიეწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია და რჩევა, რათა გადაწყვეტილება მიიღებოდეს მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.[23]

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ფრაზა „საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე", უნდა განიხილებოდეს არა როგორც შეზღუდვა, არამედ სახელმწიფოების ვალდებულება, შეაფასონ ბავშვის მიერ დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა არ უნდა იმოქმედონ იმ ვარაუდით, რომ ბავშვს არ შეუძლია საკუთარი შეხედულებების გამოხატვა. პირიქით, მათ უნდა იმოქმედონ იმ პრეზუმფციით, რომ ბავშვს აქვს საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბების შესაძლებლობა და უნდა უზრუნველყონ მათი გამოხატვის უფლება. ბავშვს არ უნდა მოეთხოვოს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის დამტკიცება.[24] კონვენციის მე-12 მუხლი მოითხოვს ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად, ბავშვის შეხედულებებისათვის სათანადო ყურადღების დათმობას, რაც ცხადად აჩვენებს, რომ მხოლოდ ასაკი ვერ განსაზღვრავს ბავშვის მოსაზრებების მნიშვნელობას. ბავშვების მხრიდან ვითარების გააზრების დონე ყოველთვის არ არის დაკავშირებული მათ ბიოლოგიურ ასაკთან, სხვადასხვა ფაქტორი გავლენას ახდენს ბავშვის შესაძლებლობაზე, ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულებები. შესაბამისად, ბავშვის მოსაზრებები უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.[25]

ტერმინი „თავისუფლად" კი, გულისხმობს, რომ ბავშვმა საკუთარი შეხედულებების გამოხატვა უნდა შეძლოს ყოველგვარი ზეწოლის გარეშე და თავად გადაწყვიტოს, ისარგებლებს თუ არა ამ უფლებით. „თავისუფლად" ასევე მოითხოვს, რომ არ მოხდეს ბავშვით მანიპულირება, ის დაცული უნდა იყოს ნებისმიერი არასათანადო გავლენისა თუ ზეწოლისგან. „თავისუფლად" თავისი არსით ასევე დაკავშირებულია ბავშვის „საკუთარ" პოზიციასთან: მას უფლება აქვს გამოხატოს თავისი და არა სხვების შეხედულებები.[26]

სახელმწიფოებმა შეხედულებების გამოხატვისთვის უნდა უზრუნველყონ იმგვარი პირობები, რომლებიც ბავშვის ინდივიდუალურ და სოციალურ მდგომარეობას შეესაბამება და ისეთი გარემო, სადაც ბავშვი თავს გრძნობს დაფასებულად და უსაფრთხოდ საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვისას.[27]

ამ უფლების განხორციელება მოითხოვს, რომ ბავშვი ინფორმირებული იყოს საქმის გარემოებების, არჩევანის, შესაძლო გადაწყვეტილებებისა და მათი შედეგების შესახებ იმ პირთა მხრიდან, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის მოსმენაზე, ასევე, ბავშვის მშობლის ან წარმომადგენლის მხრიდან. ბავშვი

---

[22] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[23] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12 (2009) „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე", § 16.

[24] იქვე, § 20.

[25] იქვე, § 29.

[26] იქვე, § 22.

[27] იქვე, § 23.

ინფორმირებული უნდა იყოს იმ პირობების შესახებაც, რომელშიც ის გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს. ინფორმაციის მიღების უფლებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ბავშვის მიერ მკაფიო პოზიციის გამოხატვის წინაპირობაა.[28]

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ბავშვის წარმომადგენელი შეიძლება იყოს მშობელი, ადვოკატი ან სხვა პირი, მათ შორის, სოციალური მუშაკი. ცალკეულ შემთხვევებში (სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პროცესში), არსებობს ინტერესთა კონფლიქტის რისკი ბავშვსა და მის წარმომადგენელს (მშობელს) შორის. თუკი ბავშვის მოსმენა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბავშვის შეხედულებები სწორად გადაეცეს გადაწყვეტილების მიმღებს. მეთოდი უნდა შეირჩეს ბავშვის მიერ (ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ორგანოს მიერ) მისი კონკრეტული მდგომარეობის შესაბამისად. წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სხვადასხვა ასპექტის შესახებ საკმარისი ცოდნა და ბავშვებთან მუშაობის სპეციალიზაცია.[29] წარმომადგენელმა უნდა იცოდეს, რომ ის წარმოადგენს მხოლოდ ბავშვის და არა სხვა პირების (მშობლ(ებ)ის, ინსტიტუტების ან ორგანოების) ინტერესებს.

ბავშვთა საერთაშორისო გატაცება

ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰაგის კონვენციის მიზანია უზრუნველყოს ბავშვების საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისაგან და დაადგინოს მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში სწრაფი დაბრუნების პროცედურები, აგრეთვე უზრუნველყოს მშობლებთან ბავშვის ურთიერთობის უფლების დაცვა.

ამ კონვენციის თანახმად, ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ეს წარმოადგენს დარღვევას მეურვეობის უფლებისა, მიკუთვნებული პირისთვის, დაწესებულებისთვის ან სხვა ორგანოსთვის, ერთობლივად თუ ცალკე, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ გადაადგილებამდე ან დაკავებამდე; გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ეს უფლებები რეალურად გამოიყენებოდა, ერთობლივად თუ ცალკე, ან ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა გადაადგილება ან დაკავება.[30]

ჰაგის კონვენციის მიხედვით, არამართლზომიერად გადაადგილებული ან სხვაგვარად დაკავებული ბავშვები სწრაფად უნდა დაბრუნდნენ მათი ძირითადი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში.[31] კონვენცია გამსჭვალულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპით. ამ კონვენციის თანახმად, ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილებისას აუცილებელია status quo ante-ს რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა. მეურვეობისა და კონტაქტის საკითხებზე გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს იმ სასამართლოების მიერ, რომელთა იურისდიქციაშიც ექცევა ბავშვის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი და არა იმ სასამართლოების მიერ, რომელთა ქვეყნის ტერიტორიაზეც ბავშვი არამართლზომიერად გადაადგილდა.[32]

---

[28] იქვე, § 25.

[29] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12 (2009) „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე“, § 36.

[30] ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰაგის კონვენცია, მე-3 მუხლი.

[31] ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰაგის კონვენცია, მე-11 მუხლი.

[32] ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2015, გვ. 61. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3V9P7fD

დაბრუნების მექანიზმებთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, რომლებიც განსაზღვრულია ჰააგის კონვენციის მე-12, მე-13 და მე-20 მუხლებში. მე-12 მუხლი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილების თარიღიდან გასულია ერთ წელზე მეტი და ბავშვი ინტეგრირებულია ახალ გარემოში. მე-13 მუხლის თანახმად, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე, თუ პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომლის მზრუნველობის ქვეშაც ბავშვი იმყოფება, რეალურად არ სარგებლობდა მეურვეობის უფლებებით გადაადგილების ან დაკავების დროისათვის, ან დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა გადაადგილებას ან დაკავებას; ასევე იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს მას მძიმე მდგომარეობაში.[33] სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს აგრეთვე შეუძლია უარი განაცხადოს ბავშვის დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე, თუკი აღმოაჩენს, რომ ბავშვი დაბრუნების წინააღმდეგია და მან უკვე მიაღწია ისეთ წლოვანებას და მოწიფულობას, როდესაც მიზანშეწონილია მისი აზრის გათვალისწინება.[34] გარდა ამისა, ბავშვის დაბრუნებაზე შეიძლება უარის თქმა, თუკი ეს აკრძალულია თანახმად მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ძირითადი პრინციპებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას შეეხება.[35]

სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლის მომართვებს[36] ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილების შესახებ, სადაც იკვეთება, როგორც სასამართლო დავის ხანგრძლივი მიმდინარეობის, ასევე, აღსრულების ის გამოწვევები, რომლებიც კვლევის შემდგომ თავებში დეტალურად იქნება განხილული. შესაბამისად, კვლევაში ზოგადად გამოკვეთილი პრობლემური ტენდენციები და შემუშავებული რეკომენდაციები, პირდაპირპროპორციულად აისახება არასრულწლოვნის არამართლზომიერად გადაადგილების საქმეებზე მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებასა და ამ პროცესში ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვაზე.

საოჯახო მედიაცია

საოჯახო მედიაცია არის პროცესი, რომელშიც მიუკერძოებელი მესამე პირი - მედიატორი ხელს უწყობს საოჯახო დავის გადაწყვეტას მხარეთა შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევის გზით.[37] საოჯახო მედიაციას აქვს პოტენციალი გააუმჯობესოს ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაცია, შეამციროს დავის მხარეებს შორის კონფლიქტი, მიაღწიოს მშვიდობიან შეთანხმებას, უზრუნველყოს მშობლებსა და შვილებს შორის პირადი კონტაქტის უწყვეტობა, შეამციროს დაშორებისა და განქორწინების სოციალური და ეკონომიკური ფასი, როგორც თავად მხარეების, ისე სახელმწიფოსთვის და შეამციროს კონფლიქტის მოგვარების ხანგრძლივობა.[38]

სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, მედიაცია აქცენტს აკეთებს მხარეებისათვის მისაღებ გამოსავალზე და არა იმის დადგენაზე, ვინ არის მართალი ან მტყუანი. გადაწყვეტილებას იღებენ თავად

[33] ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰააგის კონვენცია, მე-13 მუხლი.

[34] იქვე.

[35] იქვე, მე-20 მუხლი.

[36] 4 საქმე.

[37] Association of Family and Conciliation Courts, *Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation*, 2000. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EQ7ujC

[38] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № (98) 1 საოჯახო მედიაციის შესახებ პრეამბულა, § 7.

მხარეები და არა მოსამართლე. მედიაცია ხელს უწყობს მხარეებს შორის დაპირისპირებისა და ბავშვების ტრავმის შემცირებას განქორწინების პროცესში.[39]

ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, კონვენციის შემუშავების პროცესში საგანგებოდ მიეთითა დავის მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის ხელშეწყობის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით, ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას. ამ მიზნით, უნდა წახალისდეს საოჯახო მედიაციის ფართო გამოყენება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (98) 1 რეკომენდაციის შესაბამისად. ამ კონვენციის მიზნებისთვის „კონტაქტის შესახებ განკარგულების“ ცნება ასევე მოიცავს უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს მიერ დამტკიცებულ სამედიაციო მორიგებას.[40] შესაბამისად, ზემოთ განხილული დებულებები კონტაქტის შესახებ, განკარგულებასთან დაკავშირებით სამედიაციო მორიგებაზეც ვრცელდება.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, ამ მითითებებსა და სხვა სამართლებრივ ინსტრუმენტებში მოცემული უფლებების დაცვა თანაბრად უნდა იყოს გარანტირებული როგორც სასამართლო, ისე სასამართლოს მიღმა პროცესებში,[41] რაც ასევე მოიცავს მედიაციას.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ ბავშვის მოსმენა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნებისმიერ სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესში, რაც მასზე ახდენს გავლენას. ბავშვის უფლებათა კომიტეტის №12 ზოგადი კომენტარი განმარტავს, რომ ორივე სახის პროცესი შეიძლება მოიცავდეს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებს, როგორიც არის მედიაცია და არბიტრაჟი.[42]

1.2. საქართველოს კანონმდებლობა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ

ბავშვის მშობელთან ურთიერთობის წესი

მშობლების მხრიდან ბავშვთან ურთიერთობის საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობისას, ამ საკითხს წყვეტს სასამართლო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. სამოქალაქო დავის წარმოების ვადა არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით[43] განსაზღვრულ მოთხოვნებს და ხშირად, წლების განმავლობაში გრძელდება. თუმცა, ბავშვის უფლებათა კოდექსის 69-ე მუხლი აწესებს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულებას, რომელიც ასევე ვრცელდება ოჯახურ დავებზე.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის საცხოვრებლის, ბავშვთან ურთიერთობის წესის შესახებ სასამართლოს

---

[39] Alison Gerencser, *Family Mediation: Screening for Domestic Abuse*, 23 Florida State University Law Review, (1995). p. 50 https://bit.ly/3OmvGNQ

[40] ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ბარათი, § 28.

[41] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები, IV (B).

[42] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12 (2009) „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე“, § 32.

[43] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი.

გადაწყვეტილებას მხარეები ნებაყოფლობით არ აღასრულებენ, რომელიმე ან ორივე მათგანი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიმართავს სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად. სააღსრულებო წარმოება გულისხმობს ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესასრულებლად გასატარებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იწყება.[44] აღსრულების ფურცელს, როგორც წესი, მხარე წარადგენს, თუმცა ტერიტორიულ ერთეულს საკუთარი ინიციატივით შეუძლია აღსრულების პროცედურების დაწყება, თუ მოწინააღმდეგე მხარისაგან ბავშვის გადაცემასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია სწორედ მისი, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართვის საფუძველზე.[45] აღსრულების დაწყებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ტერიტორიული ერთეული ვალდებულ მხარეს წარუდგენს (ან უგზავნის) წერილობით მოთხოვნას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების პირობების შესახებ.[46] მოთხოვნაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების ვადა უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად, მაგრამ მოთხოვნის გაგზავნიდან, არა უმეტეს 7 სამუშაო დღისა.[47] მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^{13} მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ზემდგომ ორგანოსა[48] და სასამართლოში.

ამასთანავე, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი აღსრულების ხელშეშლა, ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა[49] იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე და 381^{2} მუხლებით.

ბავშვის მშობლისგან განცალკევება

ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლი არეგულირებს არასრულწლოვნის მშობლისგან განცალკევების საკითხებს. კერძოდ, ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების მიღებისას მოისმინოს და გაითვალისწინოს არასრულწლოვნის აზრი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბავშვის ოჯახისგან განცალკევება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ამავე მუხლით, დაუშვებელია არასრულწლოვნის ბიოლოგიური ოჯახიდან გამოყვანა ოჯახის ფინანსური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ბავშვის

---

[44] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-16/ნ, ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“.

[45] იქვე, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

[46] იქვე, მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

[47] იქვე, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

[48] საქართველოს მინისტრის ბრძანება ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“, 2011.

[49] იმ შემთხვევაში, თუ ის ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^{13} მუხლის შესაბამისად, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ.

სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას მეესეული და უშუალო საფრთხე შეექმნას, სოციალური მუშაკი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ მიიღოს ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება და 24 საათის განმავლობაში წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს თანხმობის მისაღებად. ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც სასამართლო იღებს 24 საათის ვადაში, ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას. სოციალური მუშაკის შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს ბავშვის მშობლისგან განცალკევების გადაუდებელი აუცილებლობის დასაბუთებას. საფრთხის შეფასებაში უნდა მონაწილეობდეს პოლიციის თანამშრომელი. მისი დადებითი ან უარყოფითი დასკვნა შესაბამის ოქმში აისახება. ბავშვის მშობლისგან განცალკევების საკითხებს განიხილავს ადმინისტრაციული სასამართლო. ბავშვის მშობლისგან განცალკევების საკითხები ასევე დარეგულირებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[12] მუხლით, რომლის მე-12 პუნქტი, კანონის ანალოგიით გამოიყენება გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ასათვლელად.

მედიაცია

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[1] მუხლის თანახმად, სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებული საქმე, დავის მხარეთა შეთანხმებით, დასასრულებლად, შეიძლება მედიატორს გადაეცეს. ამავე კოდექსის 187[3]-ე მუხლით კი, სასამართლო მედიაციას ექვემდებარება, მათ შორის, საოჯახო სამართლებრივი დავები.[50] ასევე, ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე შესაბამისი საქმის გარემოებებს წინასწარ აფასებს და ან მხარეთა თანხმობის გარეშე, ან, თუ ამავე დავაზე კერძო მედიაციის შესაძლებლობას გამოიყენებენ და იგი უშედეგოდ დასრულდება – მხარეთა თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დავის საქმის მედიატორისათვის გადაცემის შესახებ.[51]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მედიაციის პროცესისთვის განსაზღვრულია 45-დღიანი ვადა, რომლის ფარგლებშიც უნდა გაიმართოს მინიმუმ 2 შეხვედრა. ამასთანავე, ამ ვადის გახანგრძლივება შესაძლებელია იმავე ვადით, მხარეთა თანხმობის საფუძველზე.[52] ხოლო, 187[7] მუხლის თანახმად, მედიაციით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მოსარჩელეს, 10 სამუშაო დღის ვადაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს დავის განახლების მოთხოვნით. ხოლო, თუ მოსარჩელე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში არ მიმართავს სასამართლოს დავის განახლების მოთხოვნით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მედიაცია ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობითობის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა), თვითგამორკვევის, კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის, კონფიდენციალურობის დაცვის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. თუმცა, ამჟამად, მედიატორთა ასოციაციის მედიატორები მხოლოდ თბილისის, გორის, მცხეთისა და აჭარის ტერიტორიულ ერთეულებში არიან ხელმისაწვდომნი. აღსანიშნავია ისიც, რომ მედიატორთა ასოციაციის აკრედიტაცია ითვალისწინებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში მედიატორთა სპეციალიზაციას, რომლის ფარგლებშიც, მედიატორები, 14-საათიან ტრენინგს გადიან ბავშვის უფლებების შესახებ საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების,

---

[50] გამონაკლისს წარმოადგენს შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავები, რომლებზეც სასამართლო მედიაცია არ ვრცელდება.

[51] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] მუხლის მე-3 ნაწილი.

[52] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[5] მუხლი.

ნებისმიერი ასაკისა და განვითარების ბავშვთან ურთიერთობის თავისებურებების, ბავშვის განვითარების თავისებურებების, მიჯაჭვულობის როლის, ფსიქოსოციალური და მორალური განვითარების საკითხებზე. ასევე, სამოქალაქო საქმეებს ფსიქოლოგიურ ჭრილში, მშობელი ბავშვის/ბავშვების ფსიქოლოგიური სირთულეების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებების, სოციალური მუშაკების სამუშაო ინსტრუმენტებისა და შეფასების პრინციპების, ოჯახის გაძლიერებისკენ მიმართული მომსახურებების შესახებ.[53]

[53] ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ოფიციალურ გვერდზე და ასევე, დადასტურდა მედიატორთა ასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით. წყარო: https://mediators.ge/ka/association [ბოლოს ნანახია: 09/12/2022].

II. ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები

2.1. ბავშვის მშობელთან ურთიერთობა და აღსრულების გამოწვევები

2.1.1. საერთაშორისო სტანდარტები

ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის[54] თანახმად, ბავშვის მშობელთან კონტაქტის განსაზღვრისას სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ ორივე მშობელი ინფორმირებული იყოს ბავშვთან რეგულარული კონტაქტის შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ; წაახალისოს მშობლები და სხვა პირები, რომლებსაც ბავშვთან ოჯახური ურთიერთობა აკავშირებთ, კონტაქტთან დაკავშირებით მიაღწიონ მშვიდობიან შეთანხმებას, კერძოდ, საოჯახო მედიაციის და სხვა პროცესების მეშვეობით; გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარეებს შესაბამისი ორგანოებისა და პირებისგან უნდა მიეწოდოთ საკმარისი ინფორმაცია, რათა მიიღონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება.[55]

ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ კონვენციის თანახმად, როდესაც საქმის გარემოებები ამას მოითხოვს, სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია კონტაქტის შესახებ განკარგულება[56] იმგვარ გარანტიებს დაუქვემდებაროს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ განკარგულების აღსრულებას. ასევე, კონტაქტის შემდეგ ბავშვის დაბრუნებას მის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას და არამართლზომიერი გადაადგილების პრევენციას. განკარგულების აღსრულების უზრუნველმყოფი გარანტიები შეიძლება იყოს კონტაქტის ზედამხედველობა; პირის ვალდებულება, დაფაროს ბავშვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ასევე ბავშვის თანმხლები პირის მგზავრობისა და საცხოვრებლის ხარჯები; იმ პირის მიერ, ვისთანაც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობს, თანხის დეპონირება იმის გარანტად, რომ მეორე მხარეს ბავშვთან ურთიერთობაში ხელი არ შეეშლება; იმ პირისათვის, ვისთანაც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობს, ჯარიმის დაკისრება, თუკი ის არ ასრულებს კონტაქტის შესახებ განკარგულებას.[57]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ცხადყო, რომ სახელმწიფოს ეკისრება ადეკვატური, სწრაფი და საკმარისი ღონისძიებების გატარების ვალდებულება ბავშვთან მშობლის ეფექტიანი კონტაქტის უზრუნველსაყოფად.[58]

---

[54] აღნიშნული კონვენცია საქართველოს მიერ არ არის რატიფიცირებული. თუმცა, მოიცავს მნიშვნელოვან დებულებებს სამართალწარმოებისას ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ და წარმოადგენს შესაბამისი პრინციპების ინტერპრეტაციის სასარგებლო ინსტრუმენტს.

[55] ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მე-7 მუხლი.

[56] კონვენციის მიზნებისთვის „კონტაქტის შესახებ განკარგულება“ ნიშნავს სასამართლოს მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც ბავშვთან კონტაქტს შეეხება, მათ შორის, კონტაქტთან დაკავშირებულ შეთანხმებას, რომელიც უფლებამოსილმა სასამართლო ორგანომ დაამტკიცა ან რომელიც შემუშავდა ოფიციალურად ან დარეგისტრირდა, როგორც აუთენტური დოკუმენტი და აღსრულებას ექვემდებარება.
ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

[57] ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მე-10 მუხლი.

[58] პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, 2017. გვ. 144. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AOFpXz

2.2. არსებული პრაქტიკა

ბავშვის ორივე მშობელთან პოზიტიური ურთიერთობა, როგორც კვლევის წინა თავებში აღინიშნა, აუცილებელია მისი კეთილდღეობისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს. თუმცა, მსგავს საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება პრაქტიკაში არაერთ გამოწვევასთან არის დაკავშირებული და, როგორც წესი, თვეების, წლების განმავლობაში გრძელდება, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ხელს უწყობს ბავშვის მშობლისგან გაუცხოებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2021 წელს ბავშვის მშობელთან ურთიერთობის წესის, არასრულწლოვნის ბიოლოგიური მშობლისგან განცალკევების 300-მდე საქმე შეისწავლა,[59] რომლის ფარგლებშიც იკვეთება არაერთი სისტემური გამოწვევა. მათ შორის, ბავშვთან ურთიერთობის წესის შესახებ სასამართლო დავების წლობით გაგრძელება,[60] შესაბამისი უწყებების მხრიდან არაეფექტიანი და დაგვიანებული რეაგირება. საქმეები, სადაც თვეების, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მთელი წლის განმავლობაში[61] ვერ ხერხდება ფსიქოლოგის ჩართვა, მაშინ, როდესაც მხარე და სააგენტოს სოციალური მუშაკიც კი მიუთითებს ბავშვებზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის შესაძლო ფაქტებზე. გამოწვევას წარმოადგენს ასევე, კონკრეტული მხარისადმი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის საფუძველზე სამართლებრივი წარმოების დროულად დაწყება და საქმეთა სამართალდამცავი უწყებისადმი გადამისამართება. ამასთანავე, როგორც კვლევის შესაბამის თავში აღინიშნა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის საფუძველზე, კონკრეტული პირის სამართალდამრღვევად ცნობის შემთხვევაშიც კი, ხშირად, არსებული სანქციები, ჯარიმა თუ გაფრთხილება არაა შედეგზე ორიენტირებული და ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების დროულ აღსრულებას.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური ანგარიშის დანართში[62] განხილულია სახალხო დამცველის საქმისწარმოების ფარგლებში შესწავლილი არაერთი შემთხვევა, რომელიც სწორედ ხსენებულ სისტემურ გამოწვევებზე მიუთითებს.

2.2.1. მხარეთა და ბავშვების მზაობა მშობელთან ურთიერთობის საკითხზე

სისტემურ გამოწვევას წარმოადგენს საქმისწარმოების ფარგლებში გამოკვეთილი, არასრულწლოვანთა მიმართ რომელიმე ან ორივე მხარის მიერ ზეგავლენის, მანიპულირების გარემოებები,[63] რომელთა საფუძველზეც, ხშირად, ბავშვი უარს ამბობს არათუ მეორე მშობელთან ან ოჯახის წევრთან, არამედ შესაბამის სპეციალისტებთან, სოციალურ მუშაკთან, ფსიქოლოგთან კომუნიკაციაზე. სასამართლო დავებისა თუ აღსრულების პროცესის გაჭიანურება კი, არსებითად აზიანებს ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობას. გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ბავშვები მიუთითებენ, რომ „დაიღალნენ“

[59] 2021 წლის მონაცემებით, სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლიდა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის 74 საქმეს. ხოლო, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ 214 ბრძანება.

[60] იხ. საქმე №2, დანართი №1.

[61] აღნიშნული 2022 წლის 25 მარტის მდგომარეობითაც არ განხორციელებულა. იხ. საქმე №1, დანართი №1, ასევე, იხ. საქმე №2, საქმე №4.

[62] იხ. დანართი №1.

[63] იხ. დანართი №1.

ფსიქოლოგებთან საუბრით, სოციალურ მუშაკთან კომუნიკაციით.[64] გამოიკვეთა ერთ-ერთი საქმეც, სადაც არასრულწლოვანი პირდაპირ აღნიშნავს, რომ არ სურს მშობელთან მისი ურთიერთობა სასამართლოს გზით, ან სპეციალისტების ჩართულობით დარეგულირდეს.[65] ერთ-ერთ საქმეში აღნიშნული იყო, რომ მშობლის ოჯახის წევრი კატეგორიულ უარს აცხადებდა ბავშვების მშობელთან ურთიერთობაზე და სოციალურ მუშაკებსაც არ მისცა შესაძლებლობა, ინდივიდუალურად გასაუბრებოდნენ ბავშვებს. საუბრისას კი, ბავშვებისთვის დასმულ კითხვას თავად პასუხობდა.[66]

შესაბამისად, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მათი ემოციური მდგომარეობის დასაცავად, სახელმწიფო უწყებების მხრიდან მშობლებთან ეფექტიან ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მიუხედავად, ის არ აღსრულებულა: *„ყოფილა შემთხვევა, როცა დედასაა ბავშვი მიკუთვნებული და მამის ოჯახში იყო და პოლიციასთან ერთად მივსულვარ. მაგრამ, ვთქვათ, ბავშვი არის 12-13 წლის და კატეგორიულად უარს ამბობს, ვერც მე და ვერც პოლიცია ძალით ვერ ჩავსვამდით და წამოვიყვანდით. გვქონდა საუბრები ბავშვთან, მამასთან. მამა ამბობდა, რომ ის არაფერს ამბობდა, ბავშვმა გადაწყვიტოს. ბავშვის გადაწყვეტილება იყო, რომ არ გამოგვყვა და ვერ აღვასრულეთ“.*

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ბავშვის მეორე მშობელთან შეხვედრის/ურთიერთობის უზრუნველყოფის შესახებ მხარის ვალდებულების განმარტება. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში,[67] სოციალური მუშაკის დასკვნაში აღინიშნა, რომ არასრულწლოვანი შვილების მეორე მშობელთან/ოჯახის წევრთან შეხვედრების ხელშეწყობაში იგულისხმება ბავშვების, როგორც ფიზიკური მომზადება (ჩაცმა), ასევე, მათი შემზადება ფსიქოლოგიურად (განწყობის შექმნა). ამას უკავშირდება ასევე, მშობლის განმარტება, რომ *„[ბავშვებს] ჩაცმულს დაახვედრებდა საცხოვრებლის კარებთან და თუ ბავშვები უარს იტყვიან წასვლაზე, მათ არ გაუშვებს“.* ხოლო, ერთ-ერთ საქმეში ფსიქოლოგის დასკვნის თანახმად, ის გარემოება, რომ დედა ბავშვს „არ უშლის“ მამის ნახვას, საკმარისი არ არის და მისი მხრიდან საჭიროა მამასთან შეხვედრის ხელშემწყობი საუბრები. დასკვნაში ასევე აღინიშნა, რომ *„იმ რწმენით, რომ „შვილს არ სჭირდება მეორე მშობელი, მას ისედაც ყველაფერი აქვს“, უფრო დიდ დისტანციას შექმნის ბავშვსა და მამას შორის.“* ფსიქოლოგის განმარტებით, სასურველია, მშობლებმა გააცნობიერონ, რომ მათი პირადი ურთიერთობა გასამიჯნია მშობელი-შვილის ურთიერთობისგან, თუმცა მშობლები, საერთო ენის გამონახვით, მაგალითს მისცემენ ბავშვს და დაეხმარებიან, ურთიერთობა გაუმარტივდეს ორივესთან. დასკვნაში აღინიშნა, რომ დედის მხრიდან მამისადმი განწყობის დადებითად შეცვლა აისახება ბავშვის ქცევაზე.[68]

ბავშვებისთვის დამთრგუნველი და სტრესულია ის გარემოც, რომელსაც ხშირად, თავად მხარეები ქმნიან ბავშვის მშობელთან შეხვედრისას. მაგალითად, არაერთი ადვოკატის, ახლობლის დასწრება, პროცესის ვიდეოგადაღება და ბავშვისა და მეორე მშობლის/ოჯახის წევრის ურთიერთობის პროცესში მუდმივად მათ უკან სიარული.[69] ამასთანავე, პრობლემურია მხარის მზაობა, რომ კონკრეტულ დღეს შეხვედრის, მათ შორის, ობიექტური გარემოებებით, შეუძლებლობის შესახებ, დროულად შეატყობინოს მხარესა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს.

---

[64] იხ. დანართი №1.

[65] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №2/17738-20.

[66] იხ. საქმე №5, დანართი №1.

[67] იხ. საქმე №1, დანართი №1.

[68] იხ. საქმე №9, დანართი №1.

[69] იხ. საქმე №1, დანართი №1.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგის ყველა დასკვნაში აღინიშნება, რომ ერთი მშობლის განწყობა არსებითად აისახება არასრულწლოვნის მზაობაზე, ჰქონდეს ურთიერთობა მეორე მშობელთან. შესაბამისად, ტერმინის - „უზრუნველყოფა", მხოლოდ ტექნიკური განმარტება აბრკოლებს ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის პროცესს და აზიანებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ეს საკითხი, მისი სიმწვავიდან გამომდინარე, მოითხოვს სისტემურ მიდგომას და სიღრმისეულ მუშაობას მშობლის უნარ-ჩვევებისა და პოზიტიური მშობლობის შესახებ. კერძოდ, შესწავლილ საქმეებში იკვეთება, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი ორივე მშობლის მიმართ სისტემატურად გასცემენ რეკომენდაციებს და უწევენ მათ კონსულტაციას. თუმცა, ხშირად, გამოწვევას წარმოადგენს ერთი ან ორივე მშობლის მხრიდან ბავშვის მეორე მშობელთან ურთიერთობის მნიშვნელობის სრულად გათვალისწინება. ეს, მათ შორის, უკავშირდება მშობლებს შორის დაძაბულ ურთიერთობას, კონფლიქტს, რომლის საფუძველზეც ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს დაცვას.

2.2.2. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში საქმეების წარმოების გამოწვევები

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ირღვევა, თუ ვერ ხერხდება იმ მშობლისთვის ბავშვის გადაცემა, რომელთანაც, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვმა უნდა იცხოვროს.[70] თუმცა, ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს შვილის მშობელთან ხელახლა გაერთიანებას, არ არის აბსოლუტური, ვინაიდან მშობლის ხელახლა გაერთიანება შვილებთან, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ მეორე მშობელთან, შეიძლება ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და მოითხოვოს მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. ასეთი მომზადების ბუნება და მოცულობა დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის გარემოებებზე, მაგრამ ყველა მხარის თანამშრომლობა ყოველთვის მნიშვნელოვანია. მაშინ, როდესაც ეროვნულმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ხელი შეუწყოს ასეთ თანამშრომლობას, ამ სფეროში იძულების გამოყენების ნებისმიერი ვალდებულება უნდა შეიზღუდოს, ვინაიდან ყველა მხარის ინტერესები, ასევე უფლებები და თავისუფლებები უნდა იყოს გათვალისწინებული, განსაკუთრებით კი, ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მისი უფლებები, კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით.[71]

ამ მხრივ, ქვეყანაში არსებულ გამოწვევებზე მიუთითებს, როგორც ანგარიშის წინა ქვეთავში განხილული გარემოებები, ისე სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია.[72] **კერძოდ, 2020-2021 წლების მონაცემებით, მოდავე მხარის მიმართვის საფუძველზე, სააგენტოს 319 მიმდინარე აღსრულების წარმოება აქვს, აქედან 60 საქმეზე კი, მიმართვა 2020-2021 წლებში განხორციელდა. შესაბამისად, არათუ თვეობით, არამედ წლობით შეიძლება**[73] გაჭიანურდეს ბავშვის მშობელთან ურთიერთობის აღსრულების პროცესი, რის ძირითად მიზეზადაც სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო

[70] პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, 2017. გვ. 142-143. ხელმისაწვდომია: shorturl.at/flxY7 [ბოლოს ნანახია: 28/11/2022]. ასევე, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ, №19823/92, 23 სექტემბერი, 1994 წ. § 58.

[71] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ, №19823/92, 23 სექტემბერი, 1994 წ. § 58.

[72] სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/5403, თარიღი: 30/06/2022.

[73] იხ. დანართი №1.

ასახელებს **მშობელთა დაპირისპირებით გამოწვეულ დაძაბულობას,** რაც განსაკუთრებით მწვავდება, როდესაც ურთიერთბრალდების ნიადაგზე, ერთ-ერთი მშობლის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა, ხორციელდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ან მხარეთა შორის სამოქალაქო წესით მიმდინარეობს ქონებრივი დავა. ასევე, აღსრულების გაჭიანურების საფუძვლად სახელდება **ერთი მშობლის მხრიდან მიზანმიმართულად ბავშვის ინსპირირება,** უარი განაცხადოს მეორე მშობელთან ურთიერთობაზე. ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, მიზეზი **ბავშვის უარია, რომელიც განპირობებულია მშობელთა ქცევით.**

ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობისა და აღსრულების პროცესს კიდევ უფრო აბრკოლებს შესაბამისი სპეციალისტების არასაკმარისი რაოდენობა. კერძოდ, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმოებაში არსებული ბავშვის მშობელთან ურთიერთობისა და აღსრულების საქმეების თანაფარდობა ამ პროცესებში ჩართულ სპეციალისტებთან, ძალზე დიდია. კერძოდ, 2022 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მხოლოდ 135 სოციალური მუშაკი, 22 იურისტი, 15 ფსიქოლოგია ჩართული ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის და აღსრულების 2,212 საქმეზე[74] (იხ. ცხრილი №1, №2). ამასთანავე, მშობელთან ურთიერთობის საათები და დღეები, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად, არასამუშაო პერიოდში ინიშნება, რის გამოც სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებსა და იურისტებს შეიძლება მთელი არასამუშაო დღის ამ პროცესისთვის დათმობა მოუწიოთ.[75] გარდა ამისა, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს განმარტებით, ბავშვთან ურთიერთობის წესი მოიცავს მხარეთა მხრიდან პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს. შესაბამისად, აღსრულების პროცესში, რომელიც დროში განგრძობადი და ცვალებადია, ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ, შესაძლოა, პერიოდულად და არაერთგზის, არ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები.

2020-2021 წლებში ბავშვთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის საქმეზე, სასამართლოში წარდგენის მიზნით შემუშავებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნების რაოდენობაც ცხრილში მოცემული საქმეების რაოდენობის **(1893) ტოლფასი ან მეტია.** კერძოდ, სასამართლოში საქმის განხილვის ხანგრძლივობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლოა, მასზე, სასამართლო დავალების საფუძველზე, მომზადდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განმეორებითი ან ფსიქოლოგის დასკვნაც, რომელთაც სააგენტო არ აღრიცხავს. სოციალური მუშაკის წარმოებაში, ერთდროულად, შეიძლება თავი მოიყაროს საშუალოდ 10-12-მა მიმდინარე საქმემ, ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ. ეს მაჩვენებელი საგრძნობლად მცირეა მსგავს საქმეებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელთანაც ჩატარდა ინტერვიუ კვლევის ფარგლებში. ამ ორგანიზაციაში სპეციალისტს ერთდროულად შეიძლება 4 საქმე ჰქონდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო უწყების სპეციალისტები მხოლოდ ბავშვის მშობელთან ურთიერთობისა და განცალკევების საკითხებზე არ მუშაობენ და მათი სამუშაოს მოცულობა გაცილებით დიდია. თითო შემთხვევის შეფასებას კი, საშუალოდ 5-6 ვიზიტი და შეხვედრა სჭირდება.[76] აღსანიშნავია, რომ ბავშვის მშობლისგან განცალკევების ერთ-ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგი არ გამოცხადდა სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ რაიონული სასამართლოს განჩინებით მოწვეულ იქნა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან. ფსიქოლოგის გამოუცხადებლობის მიზეზი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში შესაბამისი რესურსების არარსებობაა.[77]

---

[74] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/5403 – 30/06/2022; ბავშვთან ურთიერთობის წესის შესახებ 1893 საქმე და აღსრულების 319 საქმე.

[75] გამოიკვეთა შესაბამის სპეციალისტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ფარგლებში.

[76] გამოიკვეთა შესაბამის სპეციალისტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ფარგლებში.

[77] საჩხერის რაიონული სასამართლო, ბრძანება არასრულწლოვნის მშობლისგან განცალკევების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საქმე №3/57-2021.

შესაბამისად, იკვეთება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს თანამშრომლების გადატვირთულობა. მათი რიცხვი არსებითად ჩამოუვარდება იმ რაოდენობას, რაც, ასე თუ ისე, დაიცავდა მათ პროფესიული გადაწვის რისკებისგან, რომელიც მოჰყვება არანორმირებულ სამუშაო გრაფიკს, მაღალ პასუხისმგებლობას, ზოგადად მუშაობას ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე, როგორიცაა ძალადობა, ბავშვის ტრავმული გამოცდილება და სხვ. მაღალია რისკი, შედეგად მივიღოთ „გადაწვა“[78], რაც თავისთავად ცხადია, ამცირებს მომსახურების ხარისხს და ზრდის პროფესიონალთა მხრიდან დაშვებული შეცდომების რისკს ან ხელს უწყობს სამსახურიდან კადრების გადინებას.

ცხრილი №1

საქმეების თანაფარდობა სპეციალისტების რაოდენობასთან



ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის შედეგად გამოიკვეთა საქმეები, სადაც, მიუხედავად ბავშვის მიმართ სავარაუდო ფსიქოლოგიური ზეგავლენისა, მხარის მიერ გადაწყვეტილების განზრახ შეუსრულებლობის/შესრულების ხელშეშლის გარემოებებს, არ მოჰყვა დროული და კოორდინირებული რეაგირება. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში[79] ბავშვებთან ფსიქოლოგის ჩართვა და შესაბამისი დასკვნის შემუშავება ვერ მოხერხდა წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მშობელი და თავად სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოც ბავშვებისადმი სავარაუდო ზეგავლენაზე უთითებდა და სასამართლო გადაწყვეტილება, ერთეული შეხვედრების გარდა, ფაქტობრივად არ შესრულებულა.

[78] American Psychological Association, APA dictionary of psychology, “Burnout”, ხელმისაწვდომია: https://dictionary.apa.org/burnout [ბოლოს ნანახია: 20/11/2022].

[79] იხ, საქმე №1, დანართი №1.

სწორედ შესაბამისი სპეციალისტების დაგვიანებულ ჩართულობას უკავშირდება შემდგომში მხარის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის/მისი შესრულების ხელშეშლის გამოვლენის პრობლემები. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში, სადაც მშობელმა სოფელში ჯერ დასასვენებლად, ხოლო შემდგომ, საცხოვრებლად გადაიყვანა ბავშვები, ამავე მიზეზით წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა ფსიქოლოგის ჩართვა. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოდან საპასუხო კორესპონდენციით კი გვეცნობა, რომ ვინაიდან ფსიქოლოგმა ვერ მოიკვლია, ექვემდებარებიან თუ არა ბავშვები გარკვეულ ზეგავლენას მამის მხრიდან, კონკრეტული პირის ან პირების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლა ვერ გამოიკვეთება.[80]

აღსანიშნავია ასევე, ისიც, რომ სააგენტოს წარმოებაში ამჟამად არსებული აღსრულების საქმეთა მხოლოდ **12%-ზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება** საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 173[13]-ე მუხლით,[81] რაც გულისხმობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობას. ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მხოლოდ **5 საქმე** გადამისამართდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით[82], 2020-2021 წლებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობის (მუხლი 381[2]) **7 საქმეზე** დაიწყო გამოძიება. ხოლო საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული საპასუხო კორესპონდენციით[83] გვეცნობა, რომ ამავე პერიოდში სისხლის სამართლის კოდექსის 381[2] მუხლით დაწყებული არცერთი გამოძიება არ შეწყვეტილა, თუმცა არც რომელიმე საქმეზე დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე არ უცნიათ არასრულწლოვანი დაზარალებულად.

ცხრილი №2

აღსრულების საქმეების წარმოება



[80] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07-01/45981, თარიღი: 14/12/2021, ასევე, №07-01/12089, თარიღი: 12/04/2021; №07-01/21950 – 23/06/2021; №07-01/29656 – 09/08/2021; №07-01/38760 – 25/10/2021; №07-01/45981 – 14/12/2021; №07-01/11904 – 25/03/2022.

[81] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[13] მუხლი, სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული მშობლის მიერ მეორე მშობლისათვის არასრულწლოვანი შვილის გადაცემის, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე არასრულწლოვან შვილთან მეორე მშობლის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელების ან ბავშვის საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების საქმეზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა — გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

[82] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული კორესპონდენცია: MIA 5 22 01478394 – 03/06/2022.

[83] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/33283 – 01/06/2022.

საქმეებზე სააღსრულებლო წარმოების შეჩერების საფუძველი, ძირითადად, იყო მხარის საზღვარგარეთ გამგზავრება, საქმის სამართალდამცავი უწყებისადმი გადამისამართება, დაინტერესებული მხარის განცხადება.

ასევე საყურადღებოა ისიც, რომ აღსრულების პროცესები, თავისი სირთულიდან გამომდინარე, ხშირად, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის და/ან იურისტის ზედამხედველობით უნდა წარიმართოს. შესაბამისად, ბავშვის მეორე მშობელთან შეხვედრა, ხშირად, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარეობს. თუმცა **ბავშვზე მორგებული ოთახი** მხოლოდ 5 მათგანს, კერძოდ, **იმერეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის** რეგიონულ ცენტრს აქვს, სხვა შემთხვევაში კი, ფსიქოლოგის სამუშაო სივრცე გამოიყენება.

ბავშვის მშობელთან ურთიერთობის შესახებ წარმოება განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩევა, როგორც არასრულწლოვანთან, ისე მის მშობლებთან კომუნიკაციის ნაწილში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგისა და იურისტის მუდმივი გაძლიერება და სათანადო საკითხებზე გადამზადება. თუმცა, 2020-2021 წლებში, სპეციალისტების მხოლოდ მცირე რაოდენობა გადამზადდა. თემატიკა კი მართლმსაჯულების, ბავშვთან, მათ შორის, ძალადობა განცდილ ბავშვთან ურთიერთობა იყო (იხ. ცხრილი №3).

ამასთანავე, საკითხის შესწავლის საფუძველზე მიღებული ინფორმაციით, ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები, მას შემდეგ, რაც სოციალური მუშაკი გაესაუბრებათ და მიიღებენ მისგან რეკომენდაციებს, თანხმდებიან აღსრულების პირობებს. თუმცა, მხარის ადვოკატის ჩარევის შემდგომ, ხშირად, პროცესი რთულდება. ასევე აღსანიშნავია, რომ ხშირად სოციალურ მუშაკებსა და იურისტებს უხდებათ მედიაციის ფუნქციის შესრულება, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვის მშობელთან ურთიერთობის წესის აღსრულების პროცესში სწორედ მშობლებს შორის დამოკიდებულებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების პოზიციებიდან გამომდინარე, ბავშვის შეფასების ნაწილში არსებული ხარვეზები, არა იმდენად სპეციალისტთა პროფესიული კომპეტენციის საკითხებს უკავშირდება, რამდენადაც პრობლემურია ინსტიტუციურ დონეზე მათი სტანდარტიზებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინსტრუმენტებითა და პრაქტიკით უზრუნველყოფა.

ცხრილი №3

სპეციალისტების გადამზადებისა და მათი ჯამური რაოდენობის თანაფარდობა 2020-2021 წლებში



საქმის მასალების გაცნობისა და სპეციალისტებთან კომუნიკაციის შედეგად, გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის განსაზღვრული სანქციები არ არის შედეგზე ორიენტირებული. კერძოდ, მშობლები, აღნიშნავენ, რომ უბრალოდ, გადაიხდიან ჯარიმას და ეს მათთვის არ არის დაბრკოლება. ამასთანავე, დროში განსაკუთრებით გახანგრძლივებულია პირის სამართალდამრღვევად ცნობისა და ამის გასაჩივრების, როგორც შიდა, ისე სასამართლო მექანიზმების ამოწურვის პერიოდი. ყოველივე ეს კი, ხელს უწყობს არასრულწლოვნის მშობლისგან გაუცხოებას, მეორე მშობლის გავლენის ქვეშ კიდევ უფრო მოქცევას.

გამოწვევად რჩება ქვეყანაში პოზიტიური მშობლობის შესახებ სათანადო სერვისების არარსებობაც. ამ კუთხით, საყურადღებოა ერთ-ერთი საქმე, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეს ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლის მიზნით, დაევალა ფსიქოლოგის მომსახურების მიღება, თუმცა რადგან ამ სერვისს სახელმწიფო უწყება არ აწვდის, მხარეები არასამთავრობო ორგანიზაციაში გადამისამართდნენ. მაგრამ, გამოიკვეთა, რომ მომსახურებაში პირის ჩართვის აუცილებელი კრიტერიუმია, მან **შეფასების სტადიაზე გააცნობიეროს,** რომ მის მიერ ჩადენილი ქმედებები მსხვერპლის საწინააღმდეგოა. ამიტომ, ორგანიზაციის სპეციალისტის მითითებით, დამცავ ორდერში მითითებულ პირებთან მუშაობა შედეგზე ორიენტირებული ვერ იქნებოდა, რადგანაც ისინი უარყოფდნენ არასრულწლოვნის ნების საწინააღმდეგო ქმედებას. ეს დათქმა, გარკვეულწილად ეწინააღმდეგება იმ საფუძვლებს, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება. სასამართლომ იმსჯელა მხარეების საკითხისადმი დამოკიდებულებაზე, ასევე, არასრულწლოვნის მდგომარეობაზე და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მიიღო დამცავი ორდერის მოცემული პირობებით გამოცემის, უფრო კონკრეტულად, კონკრეტული პირების ორგანიზაციის მომსახურებაში ჩართვის გადაწყვეტილება. ამასთანავე, სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებს საქმესთან დაკავშირებით არსებულ ყველა გარემოებას, მათ შორის, მხარეების რეზისტენტულ დამოკიდებულებას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, ბუნებრივია, შესაძლებელია, არ იყოს მისაღები თითოეული მხარისთვის. მიუხედავად ამისა, ვალდებული მხარე მაინც ვერ ჩაერთო დამცავი ორდერით დაკისრებულ სერვისში, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ თავად სახელმწიფოს არ ჰქონდა ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მორგებული ფსიქოლოგიური, ქცევის კორექციაზე ორიენტირებული სერვისი.

2.2.3. შეფასებასთან დაკავშირებული გამოწვევები

ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის წესის დასადგენად და ბავშვის ოჯახიდან განცალკევების გადაწყვეტილების მისაღებად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არა მარტო ბავშვის მოსმენას, არამედ მისი ფიზიკური და ემოციური გარემოს შესწავლას, ფსიქოემოციური მდგომარეობის შეფასებას, მშობლებთან დამოკიდებულების ტიპის განსაზღვრას და ემოციური ან ფიზიკური ზეწოლის რისკების გამოკვეთას, რაც, შესაძლოა, აისახებოდეს ბავშვის ქცევაზე. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი როლს ასრულებს ის სახელმძღვანელო პრინციპები, პროცედურები და შეფასების მეთოდოლოგია, სტრატეგია, რომელსაც იყენებენ შესაბამისი უწყებები ან სპეციალისტები.

დოკუმენტაციის გაცნობისა და როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებით მიღებული ინფორმაციის თანახმად, გამოიკვეთა, რომ ინსტიტუციურ დონეზე სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს არ აქვთ წინასწარ გაწერილი პროტოკოლი, სახელმძღვანელო პრინციპები, პროცედურები, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე მუშაობისას, როგორიცაა ბავშვის მშობლებისადმი დამოკიდებულების, მშობლის მხრიდან ბავშვზე ზეწოლის, ძალადობის რისკების, უსაფრთხოების ნიშნების განსაზღვრა. სოციალურ მუშაკთა

დასკვნებთან მიმართებით, იკვეთება, რომ საკმაოდ ზოგადია, და ხშირად, დეტალურად ვერ პასუხობს იმ კითხვებს, რაც მნიშვნელოვანია საქმის განხილვის პროცესში.

ფსიქოლოგის დასკვნების ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სპეციალისტები არ ხელმძღვანელობენ ერთი სტანდარტიზებული მიდგომით, არაერთგვაროვანია შეფასების კრიტერიუმები, მეთოდოლოგია და თუნდაც ტერმინოლოგია. ფსიქოლოგები, დასკვნის, შეფასების ნაწილში განსხვავებულ პროფესიულ კომპეტენციებს ავლენენ. მათ მიერ მომზადებული დასკვნების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ისინი განსხვავებული შინაარსით და დატვირთვით იყენებენ ისეთ მნიშვნელოვან სამეცნიერო ტერმინს, როგორიცაა „მიჯაჭვულობა“, რაც, შესაძლოა, დამაბნეველი აღმოჩნდეს და არასწორი წარმოდგენა შექმნას ბავშვისა და მშობლის ურთიერთობის ტიპის შესახებ. ამის მაგალითია სიტყვათა წყობა - „გადაჭარბებული მიჯაჭვულობა“, „განსაკუთრებული მიჯაჭვულობა“, „დედაზე მიჯაჭვულობის მაღალი მაჩვენებელი“. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, მიჯაჭვულობის ფენომენთან მიმართებით, მიჯაჭვულობის ასეთი ფორმები არაა ცნობილი.[84]

როგორც აღინიშნა, ფსიქოლოგები, დასკვნის, შეფასების ნაწილში განსხვავებულ პროფესიულ კომპეტენციებს ავლენენ. დოკუმენტაციის ანალიზისას, გამოიკვეთა ფსიქოლოგის შეფასებისა და დასკვნის მომზადების დადებითი მაგალითები, თუმცა იკვეთება პრობლემებიც. მაგალითად, ერთ-ერთი სპეციალისტი დასკვნაში იყენებს ასეთ შეფასებას - *„გადაჭარბებული მიჯაჭვულობის დემონსტრირება ჩნდება ბავშვისგან, რაც დედისგან მომდინარე შიშებით არის განპირობებული“.* თუმცა დასკვნაში არ ჩანს, თუ რა ობიექტურ მონაცემს ეყრდნობა ფსიქოლოგის ამგვარი შეფასება. ამასთანავე, ფსიქოლოგი მის მიერ მომზადებულ დოკუმენტში გამოთქვამს ვარაუდს მომავალზე, თუმცა დასკვნაში არ ჩანს, რა ემპირიულ მასალას ან მონაცემებს დაეყრდნო მსჯელობის განვითარებისას. ამ გარემოების გათვალისწინებით, ეს მსჯელობა ცალსახად პრობლემურია - *„რაც, ასევე, თავის მხრივ, აჩენს რისკს სამომავლო პარტნიორულ ურთიერთობაში იჩინოს თავი და მან აირჩიოს ისეთივე „ცუდი“ პარტნიორი, იყოს ისეთივე „ცუდი“ მეუღლე, როგორიც იყვნენ თავისი მშობლები. ცხადია, აღნიშნული საკითხი თვითშეფასებაზე ახდენს გავლენას“.*[85]

ამავე დასკვნაში ფსიქოლოგი იყენებს მენტორულ, მორალისტურ მსჯელობებს, რაც, თავისთავად, ცხადია, პროფესიულ-ეთიკური თვალსაზრისით გამოწვევას წარმოადგენს- *„ამდენად, უმნიშვნელოვანესია, ზრდასრულებმა განახორციელონ „ზრდასრული“ ადამიანებისათვის დამახასიათებელი ქცევები და წინ წამოწიონ არასრულწლოვანი შვილის ინტერესები, ნაცვლად იმისა, რომ ამოეფარონ ფსევდო ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“.* ფსიქოლოგის მსჯელობის ნაწილი, **წინასწარმეტყველებას** უფრო წააგავს - *„რაც შეეხება ბავშვის მხრიდან თავად კონფლიქტების მოგვარების გზებს, ის არასრული ოჯახის მოდელით იხელმძღვანელებს და შეეცდება ასე გაუმკლავდეს პრობლემების მოსაგვარებელ, გადასაჭრელ კონფლიქტებს, როგორც დედა და მამა იქცევა …“*

შესწავლილ ყველა დოკუმენტში ფსიქოლოგების რეკომენდაცია ითვალისწინებს ორივე მშობელთან ურთიერთობის შესაძლებლობებს, ცალსახად გამოხატულია პოზიცია, რომ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაზე, გაიარონ შესაბამისი „კურსები“ და სხვ. თუმცა საამისოდ, აუცილებელია დაინერგოს შესაბამისი სერვისები და ეს ვერ იქნება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგის პასუხისმგებლობა, რომელიც საქმის განხილვის ან აღსრულების პროცესში ერთვება მხარეებთან, გასცემს რეკომენდაციებს და, თავისთავად, ცხადია, ვერ გასცდება თავის პროფესიულ ჩარჩოს და უფლებამოსილებას.

---

[84] https://bit.ly/3BAXfhb [ბოლოს ნანახია:14/12/22].

[85] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფსიქოლოგის დასკვნა №07012414 – 20/04/2022.

2.3. მედიაციის მნიშვნელობა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის დავებზე

ბავშვის უფლებათა განხორციელების შესახებ ევროპული კონვენციის[86] თანახმად, დავების გადასაწყვეტად ან სასამართლოში საქმისწარმოების თავიდან ასაცილებლად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ მედიაციის ან სხვა პროცესების გამოყენება.[87] ამ კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, მედიაციის განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს სასამართლო ორგანოების ჩარევისგან დამოუკიდებლად, პროცესამდე ან მისი მიმდინარეობისას და მის შემდეგაც, თუკი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში კონფლიქტი წარმოიშობა.[88]

ეფექტიანი საოჯახო მედიაცია მოითხოვს, რომ მედიატორი იყოს კვალიფიციური და მიუკერძოებელი; მხარეებმა გადაწყვეტილება მიიღონ ნებაყოფლობით; მათი გადაწყვეტილება დაეფუძნოს საკმარის ფაქტობრივ მონაცემებს; მედიატორი აცნობიერებდეს კულტურისა და მრავალფეროვნების გავლენას; რაც ყველაზე მთავარია, ითვალისწინებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.[89] გარდა ამისა, მედიატორი მომზადებული უნდა იყოს იმ ოჯახების გამოსავლენად, რომელთა ისტორიაც მოიცავს ოჯახში ძალადობას ან ბავშვზე ძალადობას.[90] ამასთანავე, საოჯახო მედიატორმა უნდა იცოდეს საოჯახო სამართალი, ასევე, რა გავლენას ახდენს ოჯახური კონფლიქტი მშობლებზე, ბავშვებსა და სხვა მონაწილეებზე, უნდა ფლობდეს ბავშვის განვითარების, ოჯახში ძალადობის, ბავშვზე ძალადობისა და უგულებელყოფის შესახებ ცოდნას.[91]

საოჯახო მედიაციის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკრინინგის ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, რათა ეს პროცესი და მისი შედეგი იყოს სამართლიანი, ნებაყოფლობითი და საფრთხე არ შეექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლს ან ბავშვებს. ამგვარი სკრინინგის განხორციელება აუცილებელია ოჯახში ძალადობის გამოსავლენად და მედიაციის მიზანშეწონილობის დასადგენად. კანონმდებლობა ასევე უნდა მოითხოვდეს, რომ მედიატორებმა გაიარონ სათანადო ტრენინგი, რათა შეძლონ ოჯახში ძალადობის ნიშნების ამოცნობა.[92]

ამ მხრივ, აღსანიშნავია ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკა. კერძოდ, ***ესტონეთის*** კანონმდებლობით, ბავშვთან კონტაქტთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, **პირმა უნდა წარადგინოს ცნობა წარუმატებელი მედიაციის შესახებ.** მედიაცია არ არის სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ბავშვზე ან მეორე მშობელზე ძალადობა ან სხვა საფუძვლიანი მიზეზი. თუ მხარეებს არ გამოუყენებიათ მედიაციის მექანიზმი და გამონაკლისი შემთხვევები არ არის სახეზე, სასამართლო მიიღებს განცხადებას, მხარეებს ავალებს მედიაციის განხორციელებას და მის დასრულებამდე აჩერებს განცხადების განხილვას.[93] ესტონეთის კანონმდებლობა ასევე პირდაპირ ითვალისწინებს მედიაციის პროცესში ბავშვის მიერ მოსაზრებების

[86] საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული ეს კონვენცია, თუმცა ის შესაბამისი პრინციპების ინტერპრეტაციის სასარგებლო ინსტრუმენტია.

[87] ევროპული კონვენცია ბავშვის უფლებათა განხორციელების შესახებ, მე-13 მუხლი.

[88] ბავშვის უფლებათა განხორციელების შესახებ ევროპული კონვენციის განმარტებითი ბარათი, §§ 65-67.

[89] Association of Family and Conciliation Courts, *Model Standards of Practice for Family and Divorce Mediation*, 2000. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Aw40jX

[90] იქვე.

[91] იქვე.

[92] იქვე.

[93] ესტონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, § 560[1]. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AsTp9d

გამოხატვას, იმ მეთოდით, რაც მის ასაკსა და განვითარების დონეს შეესაბამება.[94] ხოლო, ***ნორვეგიის*** კანონმდებლობით, სასამართლოსთვის მიმართვამდე მედიაცია სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება 16 წლამდე ასაკის ბავშვთან მიმართებით მშობლის უფლება-მოვალეობების განსაზღვრას, სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას, მეურვეობას ან კონტაქტის უფლებას. მედიაცია ასევე სავალდებულოა 16 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლების მიერ განქორწინების მიზნით სასამართლოსთვის მიმართვამდე.[95]

2.3.1. ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გამოწვევები

ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეთა თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკითხის რაციონალური, მშვიდობიანი კომუნიკაციის საფუძველზე მოგვარებას და ამ მიზნით მედიაციის მექანიზმის პროაქტიულ და დაუყოვნებლივ გამოყენებას. თუმცა, აღმოჩნდა, რომ, როგორც წესი, სასამართლოში დავის მიმდინარეობისას ან აღსრულების ეტაპზეც კი, მხარეთა შორის მორიგების როლს, მხარეების შესათანხმებლად და ბავშვთან ურთიერთობის საკითხის მისი საუკეთესო ინტერესების საფუძველზე, დროულად გადასაწყვეტად/აღსასრულებლად, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სპეციალისტები ასრულებენ. ასევე, იკვეთება, რომ ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება არ არის აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი. გამოძიების მიმდინარეობაც, შესაძლებელია, დიდხანს გაგრძელდეს, რაც ასევე უარყოფითად აისახება ბავშვის მშობელთან ურთიერთობის აღდგენის პროცესზე. ამასთანავე, კონკრეტული მხარისთვის შენიშვნის მიცემა, დაჯარიმება და გამოძიების დაწყება ამავე დროს, კიდევ უფრო ძაბავს მხარეებს შორის კომუნიკაციას და ართულებს აღსრულების ბავშვზე მორგებული მშვიდობიანი მიდგომით წარმოებას.

შესაბამისად, აღსრულების პროცესის სრულყოფილი და დროული მიმდინარეობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მხარეები აცნობიერებენ ბავშვის ინტერესებს და შეთანხმებულად მოქმედებენ. მედიაციის მექანიზმის გამოყენება, მხარეებს პროცესის მშვიდობიანად, შეთანხმებით მოგვარებაში დაეხმარება. ამასთანავე, ერთ-ერთი სპეციალისტის განმარტებით, მედიაციის მექანიზმის გამოყენება, მხარეებს ასევე დაეხმარება, სრულად გააცნობიერონ, თუ კონკრეტულად რა საკითხებზე ვერ თანხმდებიან და რა საკითხზე შეუძლიათ დათმობაზე წასვლა.[96]

---

[94] Act on State-Funded Family Mediation Services, § 10. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TUGVhR

[95] ნორვეგიის აქტი ბავშვებისა და მშობლების შესახებ, მუხლი 51. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GuKGaA

[96] ჩატარებული ფოკუს ჯგუფების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია.

III. ბავშვის მშობლისგან განცალკევება

3.1. საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა

მშობლისგან ბავშვის განცალკევება, ბავშვის ტრავმულ გამოცდილებებს შორის, ერთ-ერთი სერიოზული რისკ-ფაქტორია[97] და ღრმა და ხანგრძლივ კვალს ტოვებს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, სიცოცხლის ხარისხზე. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად,[98] „ბავშვისა და მშობლის მიერ ერთად ყოფნით სიამოვნების მიღება ოჯახური ცხოვრების ძირითადი ელემენტია". თუმცა სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ეს უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებით. ეს უფლება სასამართლოს მიერ ბავშვის მეურვეობაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრისა და ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ცენტრალური ნაწილია.[99]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომლის მიზანია შეიმუშაოს კომპლექსური ჩარჩოები, პოლიტიკური კურსი და ზომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად, სხვა საკითხებთან ერთად ასევე ეხება მეურვეობას, მონახულების უფლებებსა და უსაფრთხოებას. კერძოდ, მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვთა მეურვეობისა და მონახულების უფლებების განსაზღვრისას მხედველობაში იქნას მიღებული ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის შემთხვევები.[100] გარდა ამისა, მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მეურვეობის ან მონახულების ნებისმიერი უფლების გამოყენება საფრთხეს არ უქმნიდეს მსხვერპლის ან ბავშვთა უფლებებსა და უსაფრთხოებას.[101]

ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის თანახმად, ბავშვსა და მის მშობლებს აქვთ ერთმანეთთან რეგულარული კონტაქტის უფლება. ამგვარი კონტაქტი შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველსაყოფად. როდესაც ერთ-ერთ მშობელთან ზედამხედველობის გარეშე კონტაქტი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს არ შეესაბამება, უნდა განიხილებოდეს ზედამხედველობის ქვეშ პირადი კონტაქტი ან კონტაქტის სხვა ფორმა.[102]

აქედან გამომდინარე, ბავშვის საუკეთესო ინტერესები ერთადერთი კრიტერიუმია, რომლის საფუძველზეც ბავშვის მშობელთან კონტაქტი შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს. კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო ორგანოებმა

[97] The national child traumatic stress network, Children with traumatic separation: Information for Professionals, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EpsJaO [ბოლოს ნანახია 20/11/2022].

[98] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, K. and T. v. Finland [დიდი პალატა], No. 25702/94, 2011 წლის 12 ივლისი, § 151.

[99] ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2015, გვ. 57. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hTMwHH

[100] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[101] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[102] ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მე-4 მუხლი.

უნდა განიხილონ, არსებობს თუ არა ნაკლებად შემზღუდავი ზომა. გარდა ამისა, შესაძლო შეზღუდვა ან აკრძალვა უნდა იყოს პროპორციული, ხოლო მისი აუცილებლობა - სათანადოდ დასაბუთებული. რაც უფრო მეტად იზღუდება კონტაქტის უფლება, მით მეტად სერიოზული მიზეზები უნდა არსებობდეს ამგვარი შეზღუდვის გასამართლებლად. მაგალითად, კონტაქტი ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება, როდესაც მშობლისგან ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საფრთხე მომდინარეობს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი, რომელსაც აქვს ვითარების სათანადოდ აღქმისა და გაანალიზების უნარი, თავადვე ეწინააღმდეგება ერთ-ერთ მშობელთან კონტაქტს, მისი ნების საწინააღმდეგო კონტაქტმა, შესაძლებელია, მასზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.[103]

კონვენცია ბავშვს არ ანიჭებს აბსოლუტურ უფლებას, დაეთანხმოს ან უარყოს კონტაქტის შესახებ მისაღები გადაწყვეტილება, რადგან მისთვის ამგვარი უფლების მინიჭება ყოველთვის არ შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომელმაც მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც ბავშვის სურვილები და გრძნობები, ისე სხვა გარემოებები.[104]

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეში - *„ამ კატეგორიის საქმეებში ბავშვის ინტერესები უნდა იყოს უპირველესი ყველა სხვა გარემოებასთან შედარებით. ამ კონკრეტულ საქმეში ეს ინტერესი მოიცავს ორ ნაწილს: ერთი მხრივ, ბავშვის ინტერესებშია, რომ იგი განვითარდეს ჯანსაღ გარემოში და მშობელს არცერთ გარემოებაში არ მიეცეს ისეთი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა, რომელიც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას; მეორე მხრივ, ცხადია, ბავშვის ინტერესებშია ის, რომ შენარჩუნდეს მისი კავშირები ოჯახთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ოჯახი აშკარად შეუფერებელია, რადგან ასეთი კავშირების გაწყვეტა ნიშნავს ბავშვის მოწყვეტას თავისი ფესვებისაგან. აქედან გამომდინარე, ბავშვის ინტერესი მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახური კავშირები მხოლოდ ძალიან გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გაწყდეს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირადი ურთიერთობის შესანარჩუნებლად და, თუ შესაძლებელია, ოჯახის „აღსადგენად“.*[105] ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ნებისმიერი *„მზრუნველობის ქვეშ მოქცევის ბრძანების“ საბოლოო მიზანი უნდა იყოს „შვილთან მშობლის ... ხელახლა გაერთიანება“.* აღსანიშნავია ასევე, სასამართლოს განმარტება, რომ სახელმწიფო უწყებები ვალდებულნი არიან, მიიღონ იმგვარი ზომები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ოჯახური კავშირის შენარჩუნებას.

ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლის მე-5 ნაწილი პირდაპირ კრძალავს ბავშვის ოჯახისგან განცალკევებას იმ საფუძვლით, რომ მშობელს არ აქვს სათანადო საცხოვრებელი პირობები ან ფინანსური მდგომარეობა. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, გაატაროს ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული მოქმედებები და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთ დროსაც ვერ აღმოიფხვრება არსებული გამოწვევა, შესაძლებელია ბავშვის ოჯახიდან გამოყვანის გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, ამ საკითხის ფორმალურად, საკანონმდებლო დარეგულირებისას, მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ პრაქტიკაში არსებული, ოჯახის ეკონომიკურ თუ სოციალურ გაძლიერებაზე ორიენტირებული სერვისები, რამდენად ეფექტიანი, ინდივიდუალური ოჯახების საჭიროებას მორგებული და შედეგზე ორიენტირებულია.

---

[103] ბავშვებთან კონტაქტის უზრუნველყოფის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ბარათი, § 41.

[104] იქვე, § 56.

[105] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, Gnahoré v. France, № 40031/98, 19 სექტემბერი, 2000 წ.
პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, 2017. გვ. 150-151. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3AOFpXz [ბოლოს ნანახია: 25/11/2022].

ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ ბრძანებების გაცნობითა და პროფესიონალებთან შეხვედრით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მიუხედავად საკანონმდებლო აკრძალვისა, ფაქტობრივად, მშობლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებელი გარემო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია, რის გამოც არასრულწლოვნები სახელმწიფო ზრუნვაში თავსდებიან. ამასთანავე, შესწავლილი საქმეები მოწმობს, რომ ბავშვი, შესაძლებელია, წლობით დარჩეს სახელმწიფო ზრუნვაში, რადგან მისი მშობლისგან განცალკევების სოციალურ-ეკონომიკური და/ან მშობლის უნარ-ჩვევების კუთხით არსებული გამოწვევები წლების განმავლობაში არ შეცვლილა. ამ მხრივ, განსაკუთრებით ყურადსაღებია სოციალური მუშაკების როლი, რომლებიც გასცემენ რეკომენდაციებს მშობლებისადმი. თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სოციალური მუშაკების, იურისტებისა თუ ფსიქოლოგების მიერ ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის ან განცალკევების საქმეებზე გაცემული რეკომენდაციები არ არის საკმარისი ქცევის კორექციისთვის და ვერ უზრუნველყოფს ბავშვის მშობელთან სრულფასოვანი ურთიერთობის აღდგენას. ერთ-ერთი მოსამართლე ინტერვიუსას აღნიშნავდა, ***„რაც შეეხება დასაბუთებას, ტრაფარეტულია, რა გააკეთეს, მაგალითად, მშობლებთან ჩართულობისას, მე ვერაფერს ვერ ვხედავ, ერთადერთი, გარდა იმისა, რომ ვერ აჭმევს, ვერ ასმევს, არანაირი პირობები, სიდუხჭირე“ [შეფასებაში წერია]. მაგრამ, რა ქნა იმისთვის, რომ მშობელი დაესაქმებინა, რაღაც პირობები შეუწყო ან იმუშავა მშობელთან, ეს არსად ჩანს“.*** ბავშვის გარემოს შეფასებისას, აქცენტი კეთდება არა ბავშვისა და მშობლის დამოკიდებულების, მათ შორის კავშირის გაწყვეტის რისკებზე, არამედ სიღარიბეზე, რაც ცალსახად ბავშვის საუკეთესო ინტერესის დარღვევაა.

3.2.ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ სამართლებრივი ინტერ-პრეტაციის გამოწვევები

საერთო სასამართლოთა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლოები და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, არ იყვნენ მზად ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების, ბავშვის მშობლისგან განცალკევების საკითხების გადასაწყვეტად. კერძოდ, არაერთგვაროვანი იყო სასამართლოების მიერ ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლის განმარტება ბავშვის მშობლისგან განცალკევების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ხოლო, რამდენიმე შემთხვევაში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შუამდგომლობით არასწორად განიმარტა ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვის აუცილებლობა, რასაც ასევე ადგენს ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლი.

ამაზე მეტყველებს პირველ რიგში, სასამართლოთა არაერთგვაროვანი პრაქტიკა მშობლისგან უკვე განცალკევებული და სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანილი ბავშვის მშობლისგან განცალკევების ვადის გაგრძელებაზე სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სარჩელების დაკმაყოფილებაზე უარი.[106] კერძოდ,

[106] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/183-21 – 18/05/2021; საქმე №3/110-21 – 29/03/2021; საქმე №3/106-21 – 23/03/2021; საქმე №3/103-21 – 23/03/2021; საქმე №3/97-21- 23/03/2021; გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/106-21 – 13/08/2021; საქმე №3/87-21 – 13/07/2021; საქმე №3/86-21 – 13/07/2021; საქმე №3/105-21 – 13/08/2021; საქმე №3/88-21 – 16/07/2021; საქმე №3/89-21 – 16/07/2021; ზესტაფონის რაიონული სასამართლო, საქმე №3/25-2021 – 18/03/2021; საქმე №3/30-2021 – 02/04/2021; საქმე №3/56-2021 – 05/07/2021; საქმე №3/7-2021 – 05/07/2021; საქმე №3/26-2021 – 19/03/2021; საქმე №3/59-2021 – 06/07/2021; საქმე №3/47-2021 – 22/05/2021; საქმე №3/58-2021 – 05/07/2021; საქმე №3/27-2021 – 19/03/2021; საქმე №3/60-2021 – 03/07/2021; საჩხერის რაიონული სასამართლო, საქმე №3/36-2021 – 06/07/2021; საქმე №3/28-2021 – 28/05/2021; სიღნაღის რაიონული სასამართლო, საქმე №3/150-21 – 24/08/2021; საქმე №3/151-21 – 24/08/2021; საქმე №3/86-21 – 22/06/2021; საქმე №3/88-21 – 22/06/2021; საქმე №3/90-21 – 22/06/2021; საქმე №3/91-21 – 22/06/2021; საქმე №3/105-21 – 13/07/2021; საქმე №3/111-21 – 15/07/2021; საქმე №3/112-21 – 15/07/2021; საქმე №3/115-21 – 16/07/2021.

ზოგიერთი სასამართლო პირდაპირ განმარტავდა, რომ რადგან არასრულწლოვანი უკვე განცალკევებული იყო ბიოლოგიური მშობლისგან, მისი მშობლისგან განცალკევების გაგრძელების საკითხის გადაწყვეტა არ იყო ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა და სასამართლოს გადასაწყვეტ საკითხს არ წარმოადგენდა. თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა, - *„სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ კონკრეტულ საქმეში, იმისდა მიუხედავად, რომ ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პროცედურები განხორციელდა „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ ამოქმედებამდე არსებული რეგულაციების ფარგლებში, განცალკევების გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვის პროცედურა უნდა განხორციელდეს უკვე ამოქმედებული „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისად, სასამართლოს მიერ. ვინაიდან სპეციალურმა კანონმა, „ბავშვის უფლებათა კოდექსმა“ განსხვავებულად დაარეგულირა ბავშვის მშობლისგან განცალკევების და განცალკევების ვადებზე კონტროლის მექანიზმები“.*[107]

საყურადღებოა ერთ-ერთი შემთხვევა, სადაც სააგენტომ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ბავშვის მშობლისგან განცალკევების ვადის გაგრძელება ითხოვა. თუმცა განცალკევების ვადად ბავშვის ოჯახში **რეინტეგრაციის საფუძვლების დადგომის დრო** მიუთითა, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ბავშვის მშობლისგან განცალკევების გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვის ვალდებულებას. ამ საქმეზე სასამართლომ იმსჯელა,

და ნაწილობრივ დააკმაყოფილა, და ბავშვი 1 წლით განაცალკევა ბიოლოგიური მშობლისგან.[108] მსგავსი მოცემულობის საქმეში სასამართლომ იმსჯელა, რომ *„რაც შეეხება, განცალკევების ვადას სსიპ სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს რეგიონულმა ცენტრმა უნდა იხელმძღვანელოს, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად. ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას. ბავშვის მშობლისგან განცალკევების მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ ბავშვის ოჯახში დაბრუნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს“.*[109]

მნიშვნელოვანია ასევე, რა ვადით შეიძლება განცალკევდეს ბავშვი მშობლისგან, იმისათვის, რათა არ ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლს განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების **პერიოდული გადასინჯვის** შესახებ. კერძოდ, სასამართლომ, არაერთ საქმეზე[110] შეამცირა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ შუამდგომლობაში მოთხოვნილი განცალკევების ვადა, სწორედ იმ საფუძვლით, რომ ბავშვის მშობლისგან განცალკევება ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ შეამცირა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ მოთხოვნილი განცალკევების ვადა და აღნიშნა, *„... სასამართლოს მიაჩნია, რომ დედისგან ბავშვების განცალკევება უნდა მოხდეს 2 წლის ვადით, სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებებს, რომ ამ ეტაპზე დადგენილია დედის მხრიდან ძალადობისა და უგულებელყოფის ფაქტი, გასათვალისწინებელია, რომ სოციალური სამსახური უკვე მუშაობს ბავშვის დედასთან, რამაც დადებითი ეფექტი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყო, ამიტომ, სასამართლოს მიაჩნია, რომ 2 წელი საკმარისია, რათა სოციალურმა სამსახურმა გამოიკვლიოს და დაადგინოს, აუცილებელია თუ არა მეტი ხნით ბავშვების დედისაგან განცალკევება, შესაძლებელია თუ არა ის დაბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახში (დედასთან) უფრო ადრე და ეს იქნება თუ არა საჭირო მისი კეთილდღეობისა და ჰარმონიული განვითარებისათვის, მისი საუკეთესო ინტერესების*

[107] ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №3/ბ-119-20 – 08/04/2021.

[108] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/139 – 14/04/2021; საქმე №3/148-21 – 16/04/2021.

[109] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/139 – 14/04/2021.

[110] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/150-21 – 16/04/2021; საქმე №3/12921 – 25/01/2021; ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე 34611278-3/084-21 – 5/05/2021; ბოლნისის რაიონული სასამართლო, საქმე №3/162-21 – 9/11/2021.

განხორციელებისათვის“.[111] ხოლო, მეორე საქმეზე, 16-თვიანი განცალკევების ვადა 6 თვემდე შეამცირა.

ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლის არასწორ განმარტებაზე მიუთითებს ასევე, ერთ-ერთი საქმე,[112] სადაც სააგენტომ სასამართლოს **გასაშვილებლის სტატუსის მქონე ბავშვის** ბიოლოგიური მშობლისგან განცალკევების შესახებ შუამდგომლობით მიმართა. სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან სახეზე არ იყო მშობელი, რომლისგანაც უნდა განცალკევებულიყო ბავშვი. კერძოდ, *„სასამართლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოცემულ ფარგლებში შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი და ამ მიმართებით სასამართლო კონტროლი, რამეთუ არ არსებობს ბავშვის მშობლისგან განცალკევების გადაუდებელი აუცილებლობა, ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას მეესეული და უშუალო საფრთხის შექმნა, რასაც ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა კოდექსის 26 მუხლი, ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ* ***კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს რადიკალურად განსხვავებულ შემთხვევასთან, კერძოდ ბავშვზე მშობელმა უარი განაცხადა სამშობიაროში, დაბადებისთანავე, შესაბამისად, არ არსებობს რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც მშობლის არარსებობის შემთხვევაში (დედამ დაბადებისთანავე უარი განაცხადა შვილზე) ბავშვის მშობლისგან განცალკევების ვადაზე სასამართლო კონტროლს აწესებს“.***

შესაბამისად, არასრულწლოვნის მშობლისგან განცალკევების საქმეებზე, ახალი სამართლებრივი რეგულირების შემდგომ, იკვეთებოდა გამოწვევები, როგორც ნორმის განმარტებისა და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების კუთხით, ისე შუამდგომლობის შინაარსობრივ ნაწილთან მიმართებით და განცალკევების ვადებთან დაკავშირებითაც, რაც ვერ აკმაყოფილებდა ბავშვის მშობლისგან განცალკევების, როგორც „უკიდურესი“ მექანიზმის პერიოდული გადასინჯვისა და ბავშვის რეინტეგრაციისთვის სათანადო ღონისძიებების დროულად განხორციელების აუცილებლობას. ასევე, პრობლემური იყო შუამდგომლობის დაყენებისას განცალკევების ხანგრძლივობის დასაბუთება, რაც, საბოლოოდ, შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით დასრულდა. ყოველივეს გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, შუამდგომლობებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს, რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ბავშვის განცალკევების პერიოდში რეინტეგრაციის მისაღწევად. ასევე, კონკრეტულად მიეთითოს, განცალკევების ვადის გახანგრძლივებისას, რა გააკეთა სახელმწიფომ რეინტეგრაციისთვის და სახელმწიფოს ქმედებების მიუხედავად, რატომ ვერ ხერხდება მოცემულ ეტაპზე ბავშვის ბიოლოგიურ მშობელთან დაბრუნება.

[111] ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე №3/236-21 – 29/12/2021.

[112] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/137-21 – 14/04/2021.

3.3. ბავშვის მშობლისგან განცალკევების ან განცალკევების ვადის გაგრძელების საფუძვლები

3.3.1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

კვლევის ფარგლებში მოხდა ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ 214 ბრძანების გაცნობა. ბავშვების მშობლისგან განცალკევება, უმეტესად სწორედ მშობლის მხრიდან ბავშვის საჭიროებების განზრახ უგულებელყოფასა და ძალადობის ფორმებს ეფუძნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ-ერთი საქმე, სადაც ბავშვმა თავად მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბიოლოგიური ოჯახიდან განცალკევება, მის მიმართ გამოვლენილი უგულებელყოფისა და ჩადენილი ძალადობის გარემოებების საფუძველზე, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.[113] გამოიკვეთა ადრეული ქორწინების/მისი იძულების შემთხვევებიც, როდესაც სასამართლომ არასრულწლოვანი კონკრეტული მშობლების/ოჯახის წევრებისგან განაცალკევა.

თუმცა, სამწუხაროდ, საქმეთა უმრავლესობით, დასტურდება ქვეყანაში ოჯახის მხარდამჭერი სერვისების სიმცირე და არაეფექტიანობა. პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება, როდესაც რომელიმე ან ორივე მშობელი ან ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა და განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებს. კერძოდ, ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევების/განცალკევების გაგრძელების საფუძველი საქმეთა[114] 20%-ში კონკრეტულად მშობლის სიდუხჭირეა. ხოლო, საქმეთა გაცილებით მეტ ნაწილში ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რის გამოც ბავშვი ვერ ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში და წლების განმავლობაში განაგრძობს სახელმწიფო ზრუნვაში ცხოვრებას. მაგალითად, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ *„არასრულწლოვნის ბიოლოგიურ ოჯახში დარჩენა შეუძლებელია, ვინაიდან დედა გარდაცვლილია, მამა არის უმუშევარი, უჭირს ფინანსურად, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები და ბებია-ბაბუა არიან ხანდაზმულები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მამა ვერ შეძლებს განახორციელოს სათანადო ზრუნვა. ბიოლოგიურ ოჯახში დარჩენის შემთხვევაში ვერ დაკმაყოფილდებოდა სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობები და ვერ იქნებოდა დაცული მისი უსაფრთხოება“.* ასევე, შეუძლებელია რეინტეგრაცია, რადგან *„ამ ეტაპზე მას* ***(მამას) ფინანსური და ჯანმრთელობის პრობლემების გამო არ შეუძლია შვილზე განახორციელოს სათანადო ზრუნვა“.***[115] სხვა საქმეში, ამგვარივე იყო აღნიშნული ბავშვის დედასთან დაკავშირებით, - *„მოსაგვარებელია დედის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა,* ***მას ამ ეტაპზე არანაირი სახის სტაბილური შემოსავალი არ აქვს,*** *ესაჭიროება მხარდაჭერა და გაძლიერება აღნიშნული კუთხით“.* ამავე საქმეში ბავშვი ინტერესდებოდა დედის მდგომარეობით, კითხვაზე, რა სურდა გამოსულიყო, აღნიშნავდა, ***„რომ უნდა იმუშაოს და შემდგომ ფულით დედას დაეხმაროს“.*** ბავშვი ერთ წელზე

[113] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/19-21 – 17/03/2021.

[114] საჩხერის რაიონული სასამართლო, საქმე №3/28-2021 – 28/05/2021; საქმე №3/15-2021 – 05/03/2021; საქმე №357-2021 – 21/10/2021; საქმე №3/45-2021 – 29/07/2021; ოზურგეთის რაიონული სასამართლო, 26/12/2022; 30/12/2021; 21/06/2021; 29/12/2021; 30/12/2021; 26/12/2021; გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/169-21 – 09/12/2021; საქმე №3/125-21 – 21/09/2021; საქმე №3/180-21 – 15/12/2021; საქმე №3/172-21 – 14/12/2021; საქმე №3/173-21 – 14/12/2021; საქმე №3/24-21 – 26/03/2021; საქმე №3/67-21 – 10/06/2021; საქმე №3/60-2021 – 03/07/2021; ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/183-21 – 18/05/2021; გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/124-21 – 21/09/2021; საქმე №3/142-21 – 20/10/2021; საქმე №3/157-21 – 17/11/2021; სიღნაღის რაიონული სასამართლო, საქმე №3/197-21 – 24/11/2021; საქმე №3/218-21 – 16/12/2021; საქმე №3/33/-21 – 25/03/2021; საქმე №3/5-2 – 26/03/2021; საქმე №3/64-21 – 25/05/2021; საქმე №3/158-21 – 14/09/2021; საქმე №3/169-21 – 20/10/2021; საქმე №3/174-21 – 28/10/2021; საქმე №3/150-21 – 24/08/2021; საქმე №3/91-21 – 22/06/2021; საქმე №3/105-21 – 13/07/2021; საქმე №3/111-21 – 15/07/2021; ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე №3/235-21 – 27/12/2021; საქმე №3/222-21 – 17/12/2021; საქმე №3/223/21 - 17/12/2021; საქმე №3/228/21 – 21/12/2021; საქმე №3/221-21 – 15/12/2021; საქმე №3/224-21 – 17/12/2021; მცხეთა-მთიანეთის რაიონული სასამართლო, საქმე №3/289-21 – 25/11/2021; საქმე №3/317-21 – 21/12/2021.

[115] ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე №3/231-21 – 21/12/2021.

მეტია გამოყვანილია ოჯახიდან. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ 2021 წლის ნოემბერს 1 წლით მოითხოვა ბავშვის განცალკევება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ მოთხოვნა მხოლოდ 6 თვით დააკმაყოფილა, რადგან მსგავსი გადაწყვეტილებები პერიოდულ გადამოწმებას უნდა ექვემდებარებოდეს.[116]

საგულისხმოა საქმე, სადაც დედა ჩვილთან ერთად ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსდა, დაწესებულებიდან გასვლამდე კი თავადვე ითხოვა ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანა. დედის განმარტებით, *„რადგან თავშესაფრიდან გასვლის შემდეგ მუშაობას გეგმავდა ფერმერულ მეურნეობაში, მას არ ჰქონდა სტაბილური თავშესაფარი, არ ჰყავდა თანადგომის ქსელი, მუშაობის დაწყების შემდეგ კი ვერ შეძლებდა ბავშვზე ზრუნვას“.* **ამჟამად უნდა ბავშვის დაბრუნება, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, კვლავ ვერ ახერხებს**.[117]

ერთ-ერთ საქმეში, სადაც 2 ბავშვი, ჯამში, 7-8 წელია განთავსებულია სახელმწიფო ზრუნვაში, აღნიშნულია, რომ *„ოჯახი ცხოვრობდა უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში.* ***არ ჰქონდათ საკუთარი საცხოვრებელი სახლი და ცხოვრება უწევდათ ხის მოუწესრიგებელ საყოფაცხოვრებო პირობების მქონე საცხოვრებელ სახლსა თუ სათავსოში.*** *ადგილმონაცვლეობის გამო ოჯახს ხშირად ჰქონდა სოციალური დახმარება შეჩერებული, რაც ისედაც შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს კიდევ უფრო ურთულებდა ყოველდღიურ ცხოვრებას, რასაც ემატებოდა მშობლების გონებრივი ჩამორჩენით გამოწვეული არაჯანსაღი ქცევები. ... ოჯახს არ ყავდა თანადგომის ქსელი“,* ბავშვების რეინტეგრაცია კი ამ დრომდე ვერ ხერხდება, რადგან *„დედას აქვს ინტელექტუალური განვითარების დაბალი დონე, რაც ხელს უშლის შშმ სტატუსის მქონე შვილების მიმართ გამოიყენოს სწორი აღმზრდელობითი მეთოდები და სათანადოდ იზრუნოს უკვე ექვს შვილზე ერთდროულად“. მამა მუშად მუშაობს და ვერ ეხმარება ბავშვების აღზრდაში.*[118]

სხვა საქმეში, სადაც ბავშვები, ჯამში, 2-3 წელია იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვაში, გამოყვანის საფუძველი გახდა ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. კერძოდ, ***„უსახლკარობისა და უმუშევრობის გამო, იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში.*** *ირღვეოდა ბავშვების განათლებისა და ჯანმრთელობის უფლებები. ...* ***ცხოვრობდა ჯართის შემგროვებელ პუნქტთან მდებარე ერთ პატარა ოთახში.*** *... დედა ვერ იღებდა პასუხისმგებლობას ბავშვების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ასევე ვერ უვითარებდა ასაკის შესაბამის ყოფით უნარებს, დედის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მათ შეექმნებოდათ ანტისოციალური და ძალადობრივი ქმედების მაღალი რისკი“.* ამჟამად კი ორივე მშობელს ახალი ოჯახი აქვს შექმნილი და თანახმაა, ბავშვები დარჩნენ სახელმწიფო ზრუნვაში.

მწვავედ დგას ასევე, ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შემდგომ ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანის საკითხი. ერთ-ერთ საქმეში პირდაპირ იყო მითითებული, **რომ *„ბავშვის მამას უჭირს ეკონომიკურად, არ ჰყავს ოჯახში ქალი, რომელიც იზრუნებს ბავშვზე“.***[119] ერთ საქმეში, სადაც 7 წელია ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფება, რეინტეგრაცია ვერ ხერხდება, რადგან *„დედამ აღნიშნა, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, შესაბამისად, ვერ ახერხებს შვილის დაბრუნებას ოჯახში“.*[120] კიდევ ერთ საქმეში კი გამოყვანის საფუძვლად მითითებულია, რომ *„დედა სამ*

[116] ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე №3/203-21 – 11/11/2021.

[117] სიღნაღის რაიონული სასამართლო, საქმე №3/169-21 – 20/10/2021.

[118] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/142-21 – 20/10/2021.

[119] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/124-21 – 21/09/2021.

[120] ზესტაფონის რაიონული სასამართლო, საქმე №3/25-2021 – 18/05/2021.

*მცირეწლოვანთან ერთად **ცხოვრობდა სკვერში მიტოვებულ შენობაში, რომელსაც არ ქონდა კარი და კიბე.** ისინი შენობაში ფანჯრიდან გადადიოდნენ...შენობაში არ იყო ელექტროენერგია. ბავშვებს ეძინათ იატაკზე განთავსებულ ლეიბებზე, სივრცეში იყო ანტისანიტარია".*

საქმეში, სადაც მცირეწლოვანი ბავშვი ერთი წელია სახელმწიფო ზრუნვაშია, ბავშვის მშობლისგან განცალკევების საფუძველი დედის ეკონომიკური მდგომარეობა გახდა. საქმეში მითითებულია, რომ **ბავშვმა მტკივნეულად განიცადა დედასთან სამომავლო განშორება.** დედის თქმით, **პირველად ჰქონდა პროტესტი, შემდეგ კი იქცეოდა ძალიან კარგად, უჯერებდა ყველაფერს და ცდილობდა დედისთვის თავი მოეწონებინა.** ... ბავშვი აღნიშნულ თემაზე საუბრისას ჩუმდება და საუბარი გადააქვს სხვა თემაზე, ვერბალურად არ აცხადებს გარკვეულ პოზიციას. საქმეში აღნიშნულია, რომ *„ძირითადი მიზეზი, რის გამოც დედამ ითხოვა შვილის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ განთავსება, არის ის, რომ **დედამ თუ არ იმუშავა, ის სრულიად უსახსროდ დარჩება. მას არავითარ დახმარებას არ უწევენ მშობლები,** პირიქით, ხშირად ჯიბრით ექცევიან და აგრძნობინებენ, რომ ის და მისი ვაჟი მათთვის ზედმეტი ტვირთია".*[121] მსგავსი გარემოება იკვეთება საქმეში,[122] სადაც ბავშვი 3 წელია განცალკევებულია დედისგან. კერძოდ, შუამდგომლობაში აღინიშნა, რომ *„განთავსების მიზეზი არის **დედის სუსტი ჯანმრთელობა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უსახლკარობა და უუნარობა შვილის მოვლა-მზრუნველობის მიმართ, არ ჰყავს თანადგომის ქსელი,** ვინც მას შვილის გაზრდაში დაეხმარება. შრომითი უნარები მიმართულია თავის გადარჩენაზე, მას ერთდროულად არ შესწევს უნარი იშრომოს ლუკმა-პურისთვის და თან მცირეწლოვან შვილს მოუაროს".*

სხვა 3 არასრულწლოვნის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების საფუძველიც დედის სიდუხჭირე და საცხოვრებლის არქონა გახდა. კერძოდ, *ქალს* ჰყავს 5 შვილი, არის მარტოხელა დედა და *„მათ არ ქონდათ საცხოვრებელი სახლი, ისინი ცხოვრობდნენ სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთზე უკანონოდ, **პრიმიტიულ მდგომარეობაში, ცელულოიდის ძველი ქაღალდებისა და კარდონებისაგან აშენებულ პატარა ქოხში. ქოხში, წვიმის დროს, წვიმს, როგორც გარეთ.** აღსანიშნავია ისიც, რომ **საცხოვრებელი ქოხი მდებარეობს ტყესთან ახლოს".**[123]*

შესაბამისად, კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებების მიუხედავად, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რათა ბავშვი ბიოლოგიურ ოჯახში იზრდებოდეს, და დაუშვებელია, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე ბავშვის მშობლისგან განცალკევება, სასამართლო გადაწყვეტილებებში, განცალკევებისა და განცალკევების გახანგრძლივების შუამდგომლობებში აღწერილი საფუძვლები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს ბავშვის ოჯახთან ერთიანობის პრინციპის დაცვას.

3.3.2 მშობლობის უნარ-ჩვევები

ბავშვების მშობლებისგან განცალკევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, მშობლის უნარ-ჩვევებია. თუმცა პრობლემურია თავად სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ მშობლების უნარ-ჩვევების შეფასების პროცესი, კონკრეტული მეთოდოლოგიის, ერთგვაროვანი მიდგომისა და შეფასების კრიტერიუმების არქონა, რაც უარყოფითად აისახება დასკვნის ობიექტურობაზეც. გამოწვევას წარმოადგენს ასევე, სახელმწიფოში მშობლის უნარ-ჩვევების გაძლიერების

[121] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/67-21 – 10/06/2021.

[122] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/51-21 - 24/05/2021.

[123] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/88-21 – 16/07/2021.

კუთხით კონკრეტული და შედეგზე ორიენტირებული მექანიზმების არარსებობა.

ერთ-ერთ საქმეში, სადაც ბავშვები 6-7 წელია იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვაში, რეინტეგრაცია ვერ ხერხდება, რადგან ***„დედას არ აქვს არასრულწლოვანზე სრულფასოვანი ზრუნვის განხორციელების შესაძლებლობა და უნარ-ჩვევა. ოჯახს აქვს მძიმე ეკონომიკური პრობლემა.*** *..* ***არ აქვს ფინანსების განკარგვის უნარი,*** *რაც მათ ოჯახურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. საცხოვრებელი სახლის მდგომარეობა მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა, თუმცა არ არის ბავშვისთვის კეთილსაიმედო.* ***ოჯახში არის მწირი და არასაკმარისი საოჯახო ავეჯი“.***[124] თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენად შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ამ საფუძვლით მათი ბიოლოგიური მშობლისგან 6-7 წლით განცალკევება და რა გააკეთა ამ წლების განმავლობაში სახელმწიფომ მშობლის გასაძლიერებლად და ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დასაბრუნებლად.

სხვა საქმეში, სადაც ბავშვები 11 წელია სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებიან, ძალიან ხისტად და არამგრძნობიარე მიდგომით აღინიშნა ბავშვების რეინტეგრაციის შეუძლებლობის საფუძვლები: *„ბავშვებისთვის მიყენებული ზიანი და ზიანის რისკი ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში, სრულად იქნება განპირობებული* ***მშობლების უუნარობით და არაადეკვატური ქცევით“.*** კერძოდ, მამას, მართალია, ხშირი კონტაქტი აქვს, მაგრამ ნივთიერებაზეა დამოკიდებული და მასთან არ არის ბავშვებისთვის კეთილსაიმედო გარემო.[125] ერთ საქმეში კი, დედასთან მიმართებით, გარკვეულწილად, სტერეოტიპულად განიხილება მისი სახელმწიფო ზრუნვაში გაზრდის ფაქტი. კერძოდ, აღინიშნა, რომ *„ბავშვების დედა გაიზარდა ინსტიტუციურ დაწესებულებაში. მას ადრეულ ასაკში გარდაეცვალა დედა, მამა კი ალკოჰოლზე იყო დამოკიდებული. მან ადვილად მიიღო გადაწყვეტილება შვილების სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ გადაყვანაზე“.*[126]

ერთ-ერთ საქმეში, სადაც ბავშვი, ჯამში, 5 წელია იმყოფება სახელმწიფო ზრუნვაში, დედის თხოვნით, განთავსების საფუძვლებში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დედის არასტაბილურ საცხოვრებელ გარემოსა და შემოსავალზე. ამასთანავე, შუამდგომლობაში აღნიშნულია, - *„ვინაიდან დედას აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, გენდერული და სექსუალური იდენტობის ფორმირების სირთულეები, ასევე, არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, მისი პირადი განცხადების საფუძველზე...“ ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაში გადაიყვანეს.* რეინტეგრაცია ვერ ხერხდება, ***რადგან არ აქვს სტაბილური საცხოვრებელი, სამსახური და მისი ემოციური მდგომარეობაც არასტაბილურია.***[127]

3.3.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლები

გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, შესაბამისი დახმარება გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ბავშვების აღზრდასა და მშობლის როლის შესრულებაში.[128] თუმცა,

[124] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/81-21 - 15/12/2021.

[125] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/152-21 – 11/12/2021.

[126] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/171-21 – 14/12/2021.

[127] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/103-21 – 23/03/2021.

[128] იხ. კომიტეტის კომენტარი, CCPR General comment No. 19: Article 23 (The Family) Protection of the Family, the Right to Marriage and Equality of the Spouses, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TYKtzs [ბოლოს ნანახია: 20/11/2022].

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონით გაწერილი პერსონალური ასისტენტის სერვისის ამოქმედება მხოლოდ 2025 წლიდან იგეგმება.

საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ბავშვების მშობლისგან განცალკევების საფუძველი არაერთ შემთხვევაში გამხდარა მშობლის/მშობლების შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და შესაბამისი მხარდამჭერის/მხარდამჭერი ქსელის არქონა. საქმეში, სადაც ბავშვები სახელმწიფო ზრუნვაში 4 წელია იმყოფებიან, აღნიშნულია, *რომ **„ამჟამად ოჯახის ფინანსური მდგომარეობა მძიმეა** და ბოლო ერთი თვეა ოჯახი სარგებლობს „ჩერნოვეცკის ფონდის“ უფასო სასადილოთი. ბავშვების დედას აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, **ის მკურნალობის კურსს გადის ფსიქიატრთან.** წარმოდგენილი ჯანმრთელობის ცნობაზე დაყრდნობით, **დედა იღებს ფსიქოტროპულ მედიკამენტებს, რის გამოც ვერ ახერხებს შვილებზე სათანადო მზრუნველობას** და სურვილი აქვს ბავშვები განთავსდნენ სახელმწიფო მზრუნველობის ფორმაში“.*[129]

გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან რთული ქცევის მქონე ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში შენარჩუნების საკითხიც. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში[130] აღინიშნა, რომ დედამ ითხოვა ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსება. ბავშვს ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევები, რის გამოც არაერთხელ მოხვდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში, სადაც გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ დედასა და შვილს შორის განსაკუთრებული მიჯაჭვულობაა. ბავშვი, ჯამში, 6-7 წელია სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფება. მიუხედავად ამისა, მისი ოჯახში რეინტეგრაცია ვერ ხერხდება, რადგან **ოჯახში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა,** დედას კი, სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს. მას ასევე ჰყავს მეორე შშმ სტატუსის მქონე შვილი, რომელსაც მამა უვლის, სხვა შვილები ჩართულნი არიან დღის ცენტრის მომსახურებაში, ერთს დეიდა უვლის. *„დედას არ აქვს უნარი სათანადოდ იზრუნოს შვილზე, იგი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ... და არის ფულადი დახმარების მიმღები, აღნიშნული ფართი, სადაც ცხოვრობს, გამოუყო თვითმმართველობამ სოციალურ საცხოვრისში, აღნიშნულიდან და ბიოლოგიური ოჯახის დისფუნქციიდან გამომდინარე, ვინაიდან დედას არ შესწევს უნარი რაციონალურად გადაანაწილოს არსებული თანხები/დახმარება, პენსია და სათანადოდ იზრუნოს შვილების საჭიროებებზე, ამ ეტაპზე შეუძლებელია ბავშვის რეინტეგრაცია“.* ერთ საქმეში, სადაც ბავშვი 7 წელია სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფება, რეკომენდაციის შეუძლებლობასთან დაკავშირებით *აღნიშნულია, რომ „ოჯახის მგდომარეობა გაუარესდა. დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა (დიაგნოზი: ბეტეხჩის[131] სინდრომი), მუდმივი მედიკამენტოზური მკურნალობის აუცილებლობა, არასტაბილური შემოსავალი, მცირე შემოსავალი, სურვილი საზღვარგარეთ წასვლისა და მკურნალობის გაგრძელების არ იძლევა საფუძველს რეინტეგრაციის განხორციელების“.*[132]

ერთ საქმეში ბავშვის ბიოლოგიური მშობლებისგან განცალკევების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ***„ორივე მშობელი არის მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი.*** *მამის დიაგნოზია - ოლიგოფრენია იმბეცილიის სახით, დედის დიაგნოზია - შიზოტიპური აშლილობა. არცერთ მათგანს არ აქვს ის უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარებოდათ ბავშვზე ზრუნვაში და მასზე პასუხისმგებლობის აღებაში.* ***არ აქვთ ნორმალური და სტაბილური საცხოვრებელი“.***[133]

---

[129] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/97-21 - 23/06/2021.

[130] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/139 – 14/04/2021.

[131] სავარაუდოდ, იგულისხმება, ბეჰჩეთის სინდრომი.

[132] ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/97-21 - 05/03/2021.

[133] ზესტაფონის რაიონული სასამართლო, საქმე №3/7-2021 - 05/07/2021.

გამოიკვეთა საქმეც, სადაც ბავშვი 2012 წლიდან სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფება და არ მომხდარა მისი რეინტეგრაცია. ამის მიზეზად კი მითითებულია, რომ *„ბავშვის დედას აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, ჰყავს 4 მცირეწლოვანი შვილი, რომლებსაც სათანადოდ ვერ უვლის .. **დედა არის მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი.** შესაბამისად, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში, ბავშვი ვერ იქნება უზრუნველყოფილი სათანადო ნივთებით, ვერ იქნება დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები“.*[134]

სხვა მსგავს საქმეში აღინიშნა, რომ „მშობლებს აქვთ შეზღუდული უნარები და ვერ ახორციელებენ შვილზე ზრუნვას, ბავშვის ბიოლოგიურ დედას, ჰყავს მხარდამჭერი“. ბიოლოგიურ მშობლებთან **ბავშვის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ სათემო ორგანიზაციაში, სადაც ამჟამად მშობლები ცხოვრობენ, თუმცა სათემო ორგანიზაციაში, არასრულწლოვანზე რესურსი ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.**[135]

მსგავსი მოცემულობით საქმეში აღნიშნა, რომ დედა **„მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, მას ჰყავს მხარდამჭერი**“, რომელსაც შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები და არ შეუძლია საწოლიდან ადგომა და გადაადგილება.[136] სწორედ ამ საფუძვლით ვერ ხერხდება ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება.

საყურადღებოა ერთ-ერთი საქმე, სადაც ბავშვი ჩვილობის ასაკში გადაიყვანეს სახელმწიფო ზრუნვაში, ბებიის თხოვნით, რადგან მისი შვილი არასრულწლოვანს ვერ მოუვლიდა. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ *[დედა] აცნობიერებს, რომ თავისი ჯანმრთელობის მდგომაროებიდან გამომდინარე (F.31/1 ბიპოლარული აფექტური აშლილობა,) ამ ეტაპზე ვერ ახერხებს ბავშვის გაყვანას სახელმწიფო ზრუნვიდან და მასზე ზრუნვას.* ფსიქიკური ჯანმრთელობიდან გამომდინარე, დედა ხშირად, ეტაპობრივად მკურნალობს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, და გარკვეული პერიოდის განმავლობაში უწევს იქ ყოფნა. იგი ხშირ შემთხვევაში თავადვე აცნობიერებს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებას და თვითონვე მიდის კლინიკაში სამკურნალოდ. ***აქვს სურვილი შვილის დაბრუნების, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს შვილის სახელმწიფო ზრუნვიდან გაყვანას.*** ბავშვს ***„ბიოლოგიურ დედასთან აქვს თბილი დამოკიდებულება და საუბრისას ხშირად მოიხსენიებს ხოლმე“.*** დედა და ბებია ხშირად ნახულობენ და ურეკავენ ბავშვს. თუმცა, დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ბებია-ბაბუის ასაკის გამო, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება ბავშვის რეინტეგრაცია. არასრულწლოვანი **6 წელია** მიმღებ ოჯახში ცხოვრობს და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების პერიოდი კიდევ 2 წლით გაუგრძელდა.[137]

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ბავშვის უფლებათა კოდექსით რეგულირდება, ბავშვის ბიოლოგიური გარემოდან გამოყვანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი კვლავ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მშობლობის უნარ-ჩვევები და მშობლების შეზღუდული შესაძლებლობები, ან ჯანმრთელობის მდგომარეობაა. შესაბამისად, სახელმწიფო არსებული სერვისებითა თუ სპეციალისტების ჩართულობით, სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მშობლების იმგვარ მხარდაჭერას, რომ გარემოებები, რომელთა გამოსწორებასაც ისინი დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ, არ გახდეს ბავშვთან განშორების საფუძველი.

---

[134] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/39-21- 22/04/2021.

[135] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/120-21 – 14/09/2021.

[136] გურჯაანის რაიონული სასამართლო, საქმე №3/44-21 – 18/05/2021.

[137] ახალციხის რაიონული სასამართლო: საქმე №3/230-21 - 21/12/2021.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვის მშობელთან ურთიერთობის უფლების რეალიზების კუთხით, ქვეყანაში კვლავ არაერთი გამოწვევაა. ეს დაკავშირებულია, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობასთან, ისე ბავშვებისა და მშობლების მხარდამჭერი, მათ გაძლიერებაზე ორიენტირებული ეფექტიანი მექანიზმების დანერგვის საჭიროებასთან. კერძოდ, კვლევის ფარგლებში, შესწავლილი საქმეების საფუძველზე დადგინდა, რომ განსაკუთრებული პრობლემაა ბავშვის მშობელთან ურთიერთობის სამოქალაქო დავების გაჭიანურება, რაც არსებითად უარყოფითად აისახება ბავშვის დამოკიდებულებაზე მშობლის/მშობლების მიმართ. ამასთანავე, ისედაც სტრესული პროცესების გახანგრძლივება აუარესებს ბავშვის ემოციურ მდგომაროებას, რაც ასევე აისახება ბავშვის განწყობაზე და განაპირობებს მის უარს კომუნიკაცია ჰქონდეს სპეციალისტებთან თუ მეორე მშობელთან/ოჯახის სხვა წევრებთან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იკვეთება აღსრულების მიზნით სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმოებაში მიმდინარე საქმეებზე წარმოების, მხარის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების, ფსიქოლოგის დასკვნების შემუშავების გაჭიანურება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული სახდელი, სამართალდამრღვევად ცნობისა და მისი გასაჩივრების პროცედურები არაეფექტიანია. გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც მხარის სამართალდამრღვევად არაერთხელ ცნობის მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

ასევე საყურადღებოა, რომ ქვეყანას არ აქვს შემუშავებული ბავშვის მშობელთან ურთიერთობის კუთხით, პოზიტიური მშობლობის, მშობლის უნარების, ქცევის კორექციის სერვისები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მსგავს დავებში სასამართლოს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლის ან თავად მხარის ინიციატივის საფუძველზე. ამასთანავე, ბავშვთან ურთიერთობის წესის აღსრულების პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მშობლებს შორის დადებით დამოკიდებულებას ან კონსტრუქციული კომუნიკაციის, ბავშვის ინტერესებზე შეთანხმების საკითხს, რაც კიდევ ერთხელ გამოკვეთს მხარეების დავაში შესვლამდე, როგორც კონფლიქტური მდგომარეობის მართვის, ისე მედიაციის საჭიროებას, რისი არარსებობის საფუძველზეც, სოციალურ მუშაკებსა და იურისტებს უწევთ მედიატორთა ფუნქციის შესრულება, რათა მხარეებმა განზრახი ქმედებით ხელი არ შეუშალონ აღსრულების პროცესს.

გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის ბიოლოგიური ოჯახიდან მატერიალური და მშობლების შეზღუდული შესაძლებლობის ქონის საფუძვლებით გამოყვანის აღმოფხვრაც. ქვეყანაში მოქმედი ეკონომიკური მხარდაჭერის სერვისები არ არის ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული და დროში ეფექტიანი. ამასთანავე, საქმის მასალების გაცნობის შედეგად და სპეციალისტებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნის მშობლისგან განცალკევების შემდგომ არ მიმდინარეობს სათანადო მუშაობა დროული რეინტეგრაციის მიზნით, რაც ასევე უკავშირდება მშობლის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე, ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული მექანიზმების სიმწირესა და არაეფექტიანობას.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მომუშავე სპეციალისტების სიმცირე, რაც იწვევს მათ გადატვირთულობას და აისახება სამუშაოს ხარისხზე. კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ დავის წარმოებისას ან აღსრულების პროცესში სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მიერ დოკუმენტაციის წარმოება არ ექვემდებარება წინასწარ გაწერილ მექანიზმს, არ არის პროტოკოლიზებული და ძირითადად, ეყრდნობა მათ პირად გამოცდილებას. ასევე, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ნახევარს, სადაც ხშირად, სასამართლოს გადაწყვეტილებით,

მიმდინარეობს ბავშვისა და მშობლის შეხვედრა, არ აქვს ბავშვზე მორგებული ოთახი. ამგვარი ოთახის არსებობა კი გაამარტივებდა ბავშვისთვის სტრესული პროცესის წარმართვას.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ბავშვის მშობელთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის, აღსრულებისა და ბავშვის მშობლისგან განცალკევების პროცესები არ არის მორგებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. მათ შორის, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათი ფსიქოემოციური მდგომარეობის დაცვას ამ პროცესში. ეს, გარდა საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული გამოწვევებისა, უკავშირდება საზოგადოებაში არსებულ ხედვებს და ინფორმაციის ნაკლებობას.

წინადადება:

საქართველოს პარლამენტს:

საერთო სასამართლოებთან, საქართველოს მთავრობასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე განიხილოს,

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის დადგენილი ზომების გამკაცრების თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საკითხი;

რეკომენდაციები:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შეიქმნას პოზიტიური მშობლობის, ბავშვთან კომუნიკაციის, წყვილთან და საოჯახო დავებზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი;
- შემუშავდეს პროფესიული სტანდარტები, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების პროცესში ფსიქოლოგების ჩართვისას შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილების, პროფესიული სტანდარტისა და ეთიკური პრინციპების დაცვას.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- გაიზარდოს ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა, არსებული სამუშაო დატვირთვის პროპორციულად;
- ყოველწლიურად გაიწეროს და მოხდეს ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის მინიმუმ ნახევრის გადამზადება თემატურ საკითხებზე;
- ბავშვის მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე, შემუშავდეს სტანდარტიზებული, მტკიცებულებებზე, საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული ბავშვისა და ოჯახის შეფასების მეთოდოლოგია და სახელმძღვანელო პრინციპები;
- ბავშვის მშობელთან ურთიერთობის ყველა საქმეზე, სადაც მხარე მიუთითებს ბავშვის მიმართ მეორე მშობლის მხრიდან რაიმე ფორმით ზეწოლაზე, ზეგავლენაზე, გადაუდებლად ჩართონ ფსიქოლოგი და გამოიკვლიონ ეს საკითხი;
- აღსრულების პროცესის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, დროულად გამოიკვლიონ თითოეული მხარის მიერ მოწოდებული გარემოება და მოახდინონ მათზე სათანადო რეაგირება, მათ შორის, სამართალდარღვევის ოქმის შედგენის კუთხით;
- ბავშვის მშობლისგან განცალკევების ვადის გაგრძელების შუამდგომლობაში ნათლად და კონკრეტულად მიეთითოს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მიმართა სახელმწიფომ არასრულწლოვნის რეინტეგრაციის ხელშესაწყობად და დასაბუთდეს, თუ რატომ ვერ მოხერხდა რეინტეგრაცია კონკრეტული ეტაპისთვის. გარდა ამისა, შუამდგომლობაში დასაბუთდეს განცალკევების კონკრეტულ ვადამდე გაგრძელება, განიმარტოს მისი საჭიროება და მიეთითოს, რა მოქმედებების განხორციელებას გეგმავს სახელმწიფო ვადის გახანგრძლივების პერიოდში;
- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ყველა ტერიტორიული ერთეული უზრუნველყოს ბავშვზე მორგებული ოთახით;
- არასრულწლოვანთა ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევების თავიდან ასარიდებლად, მუნიციპალიტეტებთან კოორდინირებული მოქმედებით დაიგეგმოს და გაუმჯობესდეს ბავშვიანი ოჯახების მატერიალური დახმარების სერვისები.